# ლელო

№ 38
(12 006)

23 – 25 მაისი, 2006 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo

კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

# ავიაშენებლები – ქართული კალათბურთის ფრთები!

ჩვენც იმათ აზრს ვიზიარებთ, ვინც მიიჩნევს, რომ ღირსეული გამოდგა კალათბურთში ეროვნული ჩემპიონატის სუპერფინალი. რაიმე ალოგიკურს ვერც სუპერფინალის მონაწილე ოთხ გუნდს შორის საბოლოო ადგილების განაწილებაში ვხედავთ. ჩემპიონი კი ნამდვილად ის გუნდი გახდა, რომელიც ამას, ალბათ, უფრო იმსახურებდა. ჩემპიონის ბედი დამატებით მეხუთე მატჩში გადაწყდა ვერის ბაღის პირთამდე ავსილ საკალათბურთო დარბაზში. ამ გადამწყვეტ მატჩში ავიაშენებლები, მეტოქე რუსთაველებისგან განსხვავებით, უდავოდ მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ და გაიმარჯვეს კიდეც 20 ქულის სხვაობით. 74:54 (13:21, 20:15, 16:11, 25:7). სერიაში წარმატება „ავიაშენს“ ხვდა 3:2 და მთავარი ჯილდო საქართველოს ჩემპიონის რანგში ჩაიბარა. ამ დღეს გამარჯვებული გუნდის რიგებში თამაშობდნენ: დ. ბერიშვილი, ხოშტარია, მარკოიშვილი, ნინიაშვილი, რუდომინა, ბ. ბერიშვილი, ნიკოლაძე, ტუღუში, ორმოცაძე, მინაშვილი, ჩხატარაშვილი.

მესამე ადგილისთვისაც მეხუთე მატჩის გამართვა გახდა აუცილებელი. სტუ-სთან პაექრობაში თსუ — „ნიკორამ“ ასევე დიდი ანგარიშით 89:63 მოიგო პრინციპული მატჩი (23:12, 22:16, 21:19, 23:16).

## ყოჩაღ, გოგონებო!

ბაქოში დასრულდა 16-წლამდე ძიუდოისტ გოგონათა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით გამოვიდა ჩვენი ნაკრები. უძლიერესის სახელი მოიპოვეს: **ცირა აბულაძემ** (36 კგ), **მარი ცოცელაშვილმა** (40), **გულინა თინიკაშვილმა** (44), **თამარ ქებაძემ** (70) და **თამარ ლომიძემ** (+70).

**სოფო როსტომაშვილმა** (52) და **დიანა ნანიევამ** (57) მხოლოდ ფინალური ბრძოლები წააგეს. ბრინჯაოს მედლები კი მოიპოვეს **გურანდა შუბითიძემ** (36), **დარინა აბულაძემ** (44), **ნანა ნემსიწვერაძემ** (48) და **თამარ მუმლაძემ** (52).

ახლა ჩვენი ნაკრები ლაგოდეხში მოემზადება ივნისში ბუდაპეშტში გასამართ ევროპის პირველობისთვის.

## სუმო. მაისის ბაშოც დასრულდა

იშვიათად ხდება, რომ სუმოში „იმპერატორის თასისთვის“ ბრძოლაში დამატებით პაექრობის ჩატარება დასჭირდეთ ორგანიზატორებს. ამ პოპულარული ასპარეზობის მაისის შერკინებები გასულ შაბათს დასრულდა და მთავარი ჯილდო წილად ხვდა მონღოლ ოძეკს **ჰაკუჰოს**. დამატებით მატჩში მან სეკივაკე **მიაბიამას** სძლია (მანამდე მაისის ბაშოზე ორივეს 14-14 გამარჯვება ჰქონდა). მესამე ადგილზე გავიდა ესტონელი **ბაროტი**, რომელმაც 11 მოგება მიითვალა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია დებიუტანტთა გამოსვლებში.

როგოროა დაასრულა მაისის ბაშო ჩვენმა **ლევან ცაგურიამ? (კოკაი)**. როგორც იცით, ლევანს თავიდან არ გაუმართლა, წარმატებულ სტარტს ზედიზედ რამდენიმე მარცხი მოჰყვა. შემდეგ კოკაიმ მდგომარეობა გამოასწორა და იმდენი მოახერხა, ნაგოიაში მაისის ბაშო დადებითი ბალანსით 8:7 დაასრულა. ბოლოსწინა შერკინება ქართველს სეკივაკე **კოტომიცუკთან** ჰქონდა. სწორედ მისი ძლევით გახადა ცაგურიამ ბალანსი დადებითი — 8:7. ბოლო შეხვედრა კი წააგო პირველ მაეგაშირა **სენოსატოსთან**. დადებითი ბალანსი იმას ნიშნავს, რომ კოკაი რეიტინგში კვლავ წინ წაიწევს.

დადებითი ბალანსით დაასრულა მაისის ბაშო დაბალ დივიზიონში მოასპარეზე კიდევ სამმა ქართველმა — კოკაის ძმამ **გიორგიმ** (4:2), **თეიმურაზ ჯუღელმა** (4:3) და **ლევან გიორგაძემ** (5:2). ეს ბიჭებიც გაიუმჯობესებენ ადგილს რეიტინგში.

## სამბისტები თავაწეულები ბრუნდებიან

სალონიკში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი სამბოში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის. როგორც სამბოს ეროვნული ფედერაციის მენეჯერმა **თენგიზ არაბულმა** გვაცნობა, სალონიკიდან მიუღიათ მოკლე შეტყობინება საქართველოს ნაკრები გუნდის წევრებს ოქროს სამი, ამდენივე ვერცხლის და ექვსი ბრინჯაოს მედალი მოუპოვებიათ. ერთი სამბისტი კი ინფორმაციის გადმოცემისას ფინალში ჭიდაობდა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით უფრო კონკრეტული ინფორმაციის მიღება ფედერაციამ ვერ მოახერხა. ამ ასპარეზობის შესახებ დაწვრილებით „ლელოს“ შემდგომ ნომერში მოგითხრობთ.

## დღეს ბესო ჯუღელს პრეზიდენტად აირჩევენ

ქართული სპორტის განახლების დამკვიდრებული ტენდენციის კვალდაკვალ ხვალ, 24 მაისს, სპორტული ფედერაციების ახალ თავკაცთა რიგებს კიდევ ერთი ცნობილი პიროვნება, პარლამენტარი ბესო ჯუღელი შეემატება. იგი კენჭს იყრის საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე. კანდიდატურა უალტერნატივოა.

დავძენთ, რომ ბესო ჯუღელი სპორტისთვის უცხო არ არის, – თამაშობდა კალათბურთს, იყო საქართველოს ნაკრების წევრი.

ფედერაციის ყრილობა ჩატარდება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში და 14 საათზე დაიწყება.

## როგორია ოლიმპიური სპორტული ობიექტების მომავალი?

ყველი ოლიმპიური თამაშების შემდეგ, ზაფხულის იქნება თუ ზამთრის, უთუოდ დგება გიგანტური სპორტული ბაზების შემდგომი ბედის პრობლემა. თუ გსურს უმასპინძლო თამაშებს, „მსხვერპლიც“ უნდა გაიღო, ანუ შეასრულო ყველა ვალდებულება თანამედროვე მოთხოვნების შესაფერისი სპორტული ობიექტების გასაშენებლად. ოლიმპიადების შემდეგ მიუნხენის (1972) თამაშებიდან მოყოლებული, ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავე გახდა. ყველა ქალაქი ცდილობს შეძლებისდაგვარად ნაკლები იზარალოს და ოლიმპიური სპორტული ბაზების შემდგომი ექსპლოატაცია უზრუნველყოს. ამას კარგად მიაღწია მოსკოვმა (1980), როცა ბაზებიც შეინარჩუნა და ოლიმპიური სოფლის ნაგებობებით, გარკვეულწილად, მოქალაქეთა ბინით დაკმაყოფილების საკითხიც გადაჭრა. აი, ათენს კი (2004) ჯერაც ვერ მოუგვარებია ბოლომდე ეს პრობლემა.

რა ბედი ეწევა ტურინის სპორტულ ბაზებს და ცალკეულ ნაგებობებს „თეთრი ოლიმპიადის“ შემდეგ? ქალაქის ხელისუფლება იმედიანადაა — ოლიმპიურ ობიექტებს დემონტაჟი არ ემუქრება. უკვე გადაწყვეტილია, რომ ცნობილ „ოვალ ლინგოტოს“ დარბაზს ტურინის მერია და პიომენტის მხარის ადმინისტრაცია კონგრესცენტრად გამოიყენებს მცირედი სახეცვლილების შემდეგ. ფიგურული ციგურაობისა და ჰოკეის დარბაზი „პალაველა“ საგამოფენო ცენტრად გადაკეთდება, ხოლო „ტურინო ექსპოზიციონის“ ნაგებობა შესანიშნავად ესადაგება თანამედროვე ხელოვნების გალერეის მოთხოვნებს. იქვე გაიხსნება ბიბლიოთეკაც.

## გუშინაც წარმატებით...

ტურინში მიმდინარეობს საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელშიც ასპარეზობენ საქართველოს ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები. ქალთა გუნდს ოლიმპიადაზე არ გაჰყვა მსოფლიოს ექსჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე. ხოლო ვაჟთა გუნდს ორი წამყვანი მოჭადრაკე — ზურაბ აზმაიფარაშვილი და ზვიად იზორია. ამის მიუხედავად ორივე ნაკრებმა წარმატებული სტარტი აიღო. ქართველმა ქალებმა პირველ ტურში 3:0 მოუგეს ისლანდიის გუნდს, ხოლო ვაჟებმა 4:0 — მუნჯების ჭადრაკის საერთაშორისო კომიტეტის ნაკრებს.

გუშინ მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. საქართველოს ვაჟთა ნაკრების მეტოქე იყო ირანის ნაკრები. შეხვედრა მოიგეს ჩვენმა მოჭადრაკეებმა 2,5:1,5. იმარჯვეს ქალებმაც, რომლებმაც 2:1 აჯობეს ბელარუს მოჭადრაკეებს.

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს რაგბის ეროვნული კავშირის გენერალური მდივანი**

**ირაკლი ჩხეიძე**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ქართული რაგბის სამყაროს.**

# „ვის უხმობს ზარი“

**საქართველოს 19 წლამდელ ფეხბურთელთა შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, რასაც მათ მიაღწიეს (ასეთი ანგარიშებით წაგებაც მიღწევაა თავისებური). ევროპის ჩემპიონატის ფინალისწინა ეტაპზე სლოვაკეთში, უნდა ვაღიაროთ, რომ საგანგაშო ზარი ჩვენ ყველას გვიხმობს, რადგან საქმე მთლიანობაში ეხება ეროვნულ თავმოყვარეობას. ახლა ის მცირედი ამბიციებიც გაგვიქარწყლდა, რომელიც ჯერ კიდევ კიაფობდა იმედად ქართული ფეხბურთის ქომაგებში. ალბათ, ცამდე მართალი იყო ერთი გულშემატკივარი, რომელმაც გუშინ რედაქციაში აღშფოთებულმა დარეკა და გვთხოვა დაგვეწერა, რომ საქვეყნოდ დადებს პირობას, ის რომ იყოს მწვრთნელი, 0-6-ზე უარესი ანგარიშით არ წააგებს არავისთან. აი, ჩვენმა მოწვეულმა სანაქებო მწვრთნელებმა კი წააგეს. თანაც ისეთი ახსნა-განმარტებები მოაყოლეს, შემდეგი მატჩი ჩვენიანებმა 1-4 რომ დათმეს, იმ მიზეზებიდან გამომდინარე, უსიტყვოდ უნდა გვეფიქრა, აბა, სხვა, რისი იმედი უნდა გვქონოდა, აკი გაგვაფრთხილეს ჩვენი ბიჭების ცნობილმა დამრიგებლებმა.**

**ისე, ნამდვილად მიამიტი ხალხი ვართ, საკუთარს რომ არ შევუნდობთ და ვაპატიებთ, უცხოელისგან რაღაც აბსურდული განმარტებები უნდა მოვისმინოთ, დავკმაყოფილდეთ და, მეტიც, მივიღოთ კიდეც როგორც ჭეშმარიტება. რაო, ქართველი მწვრთნელი ვითომ ნაკლებად მოახერხებდა თავის მართლებას და გუნდში არსებულ პრობლემებზე ხმამაღლა ლაპარაკს?**

**„გამოცდილი ფეხბურთელები რომ მყავდეს, სხვაგვარი შედეგი მექნებოდაო“... განაცხადა პატივცემულმა მოწვეულმა მწვრთნელმა. მართლა? დედას გაფიცებთ, ჰაინც, ეგ რა გვითხარი, აი, თურმე სად ყოფილა დამარხული ძაღლის თავი. ასე, მიზეზები არ დაილევა, მეგობარო! ჩვენი გუნდის მოთამაშეთა ნახევარს ეროვნულ ნაკრებში აქვს ნათამაშევი, მაგრამ ეტყობა რაიმეს არც ეს ნიშნავს. რა დიდი ჭვრეტა და ჩხრეკა უნდა იმას, რომ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი ჯერჯერობით ვერ დგას, ვთქვათ, იგივე ჩვენი მეზობლის და საფეხბურთო მინდორზე მეტოქის, თურქეთის ლიგის სიმაღლეზე, ჩამოვრჩებით კლასში სხვებსაც. უცხოელებს კი იმიტომ ვიწვევთ, რომ წინ წავიწიოთ, მეტი გვასწავლონ... იქნებ, რაც მოხდა, ყველაფერი ეს სწორედ პროგრესის დასაწყისია, ვნახოთ, ჩვენც ეს გვინდა!**

მიმომხილველი

# მოლოდინი...

## რით არ იმსახურებენ თბილისის რაიონები და დედაქალაქელები სპორტის ორგანიზატორს?

გამართულად და სრულყოფილად ის დარგი მუშაობს, რომელსაც საქმიანობის მწყობრი სისტემა გააჩნია, ხოლო ამ სისტემაში, ერთი საერთო მიზნისკენ მისწრაფებაში, ყველა რგოლს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და განსაზღვრული აქვს თავისი წილი პასუხისმგებლობაც.

ამგვარი მიდგომით სპორტული მოძრაობა ათწლეულებით მუშაობდა გამართულად. მართვის ძირითადი საყრდენი — ჰერკულესის სამი სვეტი, — ანუ პირველადი, საშუალო და უმაღლესი რგოლი ქმნიდა ერთიან ორგანიზაციულ სისტემას. ბოლო ხანებში, რატომღაც, საშუალო რგოლი, ანუ სპორტის რაიონულ დონეზე ხელმძღვანელების სტრუქტურა ბევრგან უგულებელყოფილია, მათ შორის, თქვენ წარმოიდგინეთ, თბილისშიც კი. დედაქალაქის რაიონები გვაქვს მხედველობაში.

შარშან, მარტში, საქართველოს გამოჩენილმა სპორტსმენებმა მიმართეს თბილისის მერიას დედაქალაქის რაიონებში აღდგენილიყო სპორტული მოძრაობის მთავარი ღერძი — სპორტის ხელმძღვანელ მუშაკთა თუნდაც თითო საშტატო ერთეული. სპორტის დეპარტამენტმაც მისწერა ამის თაობაზე თბილისის ხელმძღვანელობას. შემდეგ კი ერთი ოფიციალური წერილი, მას შემდეგ, რაც რამდენიმე ზემდგომი ინსტანცია გაიარა, სპორტის დეპარტამენტში მოხვდა, ამ უკანასკნელმა კი დედაქალაქის ხუთივე რაიონს დაუგზავნა, მაგრამ შედეგი არ ჩანს...

არადა, პირდაპირ გასაკვირია, რატომ უნდა იყოს ქვეყნის დედაქალაქში პრობლემა რაიონების 5 ხელმძღვანელი სპორტული მუშაკის დანიშვნა თუნდაც 120 ლარიან ხელფასზე? განა რა ხარჯია ასეთი ეს თანხა. საერთო ჯამში იგი შეადგენს: 5X120X12=7.200 ლარს. დავაზუსტოთ ხუთ მუშაკზე 7200 ლარი წელიწადში! აი, რა გამხდარა პრობლემა. გამოდის, რომ ადამიანების კეთილდღეობის ხარჯზე ვეწევით 7.200 ლარის ეკონომიას წელიწადში. სასაცილოა, როგორც იტყვიან, სატირალი რომ არ იყოს. ანდა, თვით რაიონის გამგეობას რა გაუჭირდა ისეთი, სპორტული მუშაობის კოორდინატორს, თვეში 120 ლარი რომ გადაუხადოს, (წელიწადში კი 1440 ლარი). ზოგან შეიძლება ორი მუშაკიც აიყვანონ. დანახარჯი ისევ მინიმალური იქნება, საქმე კი დიდად მოიგებდა.

ამ საკითხის დადებითად გადაჭრაში დახმარებისთვის ადამიანის უფლებისა და თავისუფლებების დაცვის კავკასიის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჯუმბერ პაპაშვილმა** წერილით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს. რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ შესაბამის ინსტანციებს დაავალა საკითხის მოგვარება. რაიონები იმიზეზებდნენ, რომ მერიის მიერ დამტკიცებულ განრიგში სპორტის მუშაკის საშტატო ერთეული არ არის გათვალისწინებული და თანხმობას ითხოვდნენ ამ მუშაკის ხელშეკრულებით აყვანაზე. ბოლოს გაჩნდა თბილისის მთავრობის ესოდენ ნანატრი დადგენილების პროექტიც, „ქ. თბილისის რაიონებში სპორტის კოორდინატორების საშტატო ერთეულების შემოღების შესახებ“. მაგრამ საკითხი განხილვამდე არ მივიდა — დაიბლოკა. თუ რატომ და ვის მიერ, უცნობია. ეს მაშინ, როცა თბილისის საკრებულოს მიღებული აქვს დადგენილება (№71, 30.09.2004 წ), რომლითაც დამტკიცებულია „ქ. თბილისის სპორტის განვითარების პროგრამა“. საკითხავია, დედაქალაქის რაიონებში ვინ უნდა უხელმძღვანელოს პროგრამის რეალიზაციას?

რას აკეთებს ამ დროს თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური? ცხადია, გულგრილი ვერ დარჩებოდა, ეს მას არ სჩვევია. აი, რას წერდა ამ სამსახურის უფროსი **გიორგი უდესიანი** შარშან 18 აგვისტოს, თბილისის მერს **გიგი უგულავას**:

**„ბატონო გიგი,**

**ქ. თბილისის მერიიდან 2005 წლის 5 აგვისტოს №14878 შემოსული კოლექტიური განცხადების პასუხად, რომელიც ეხებოდა გამოჩენილი ქართველი სპორტსმენების თხოვნას ქ. თბილისის რაიონების გამგეობებში სპორტის კოორდინატორთა თითო საშტატო ერთეულის აღდგენას გაცნობებთ შემდეგს:**

**ანალოგიური მოთხოვნით 2005 წლის მარტის თვეში საქართველოს გამოჩენილმა სპორტსმენებმა მიმართეს თბილისის მერიას.**

**საპორტის საქალაქო სამსახურმა წერილობით მიმართა ქალაქის მერიას. თბილისის რაიონებში სპორტის კოორდინატორთა თითო საშტატო ერთეულის აღდგენას აუცილებლობის შესახებ. თანხმობა განაცხადა თბილისის ყველა რაიონის გამგებელმაც, მაგრამ რაიონებში საშტატო ერთეულების სიმცირის გამო ვერ მოხერდა სპორტის კოორდინატორთა დანიშვნა.**

**ქ. თბილისის რაიონებში 2000 წლიდან სპორტის კოორდინატორების საშტატო ერთეულების გაუქმებამ დედაქალაქში მოსახელოების ფართო მასებში სპორტულ – გამაჯანსაღებელი მოძრაობის, წვევამდელთა და მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის სპორტული მუშაობის ჩავარდნა გამოიწვია. მთლიანად მოშლილია ქ. თბილისის რაიონებში საცხოვრებელი ადგილების მიხედვით არსებული მარტივი ტიპის სპორტული მოედნებიის აღრიცხვიანობაზე და სპორტული ღონისძიებების ჩატარებაზე ზედამხედველობა.**

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ 2006 წლის ბიუჯეტში თბილისის რაიონებში გაითვალისწინოთ სპორტის კოორდინატორთა თითო საშტატო ერთეული.“**

როგორც ხედავთ, ამ წერილში შესანიშნავადაა განმარტებული ის ფუნქცია, რაც რაიონში სპორტული მუშაობის ხელმძღვანელს ეკისრება.

თბილისის მერს ჩინებულად ესმის სპორტის სოციალური მნიშვნელობა და, ვფიქრობთ, საკითხის დადებითად გადაჭრა ამჟამად მაინც, ნამდვილად აღარ დაიბლოკება.

მიმომხილველი.

# მუხათი, ანა ბაჯი და ქართული ჭიდაობის ზეიმი



ანა ბაჯის
სახელობის
საჭიდაო მოედანი
მინდია ბოდაველი

კოდის თემის სოფელი მუხათი, რომელმაც სახელი განსაკუთრებით ლეგენდარული მოჭიდავე ქალის **ანა ბაჯის** გმირული ამბებით გაითქვა, გასულ შაბათს ქართულ ჭიდაობაში ანა ბაჯის სახელობის ტურნირს მასპინძლობდა ქვეყნის რჩეულ ფალავანთა მონაწილეობით. პრიზები გათამაშდა 60,-70,80,90 და აბსოლუტურ წონით კატეგორიაში (ფალავნობა).

ტურნირი ჭეშმარიტ სახალხო ზეიმად იქცა. მუხათელებს გრიგოლ ორბელიანის ისტორიულ წყაროსთან, კოდის საკრებულოს თავმჯდომარის **მერაბ დალითაშვილის**, თეთრი წყაროს რაიონის გამგებლის **გიორგი ნესტვირიშვილის** და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის კავკასიის ფედერაციის პრეზიდენტის **ჯუმბერ პაპაშვილის** ყოველმხრივი დახმარებით, სანიმუშოდ აღუდგენიათ საჭიდაო სარბიელი. ამ ადამიანებმა, აგრეთვე ქართული ჭიდაობის ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა **გიორგი ჯიქიამ**, იმისთვისაც ყველაფერი იღონეს, რომ ტურნირი სანაქებოდ მაღალ დონეზე ჩატარებულიყო (მთავარი მსაჯი ცნობილი მწვრთნელი, კოდელი **მარლენ ოსიყმაშვილი**).

„მადლობა ყველას, ვინც მხარში დაგვიდგა, მადლობა ტურნირის მონაწილეებს, სტუმრებს, რომლებმაც გაგვილამაზეს ეს ღონისძიება. ამიერიადნ ტურნირი ჩატარდება ყოველ კვირაცხოვლობაზე, რადგან ანა ბაჯმა, გადმოცემით სწორედ ამ დღეს 22 ვაჟკაცს მოუგო და ლეგენდად იქცა. ანა ბაჯი საქართველოს ისტორიაში პირველი მოჭიდავე ქალია და შთამომავლობა ვალდებულია უკვდავყოს მისი სახელი" — ამბობს ჯუმბერ პაპაშვილი — ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი.

ახლა კი გაგაცნობთ გამარჯვებულებს: 60 კგ — გოგიტა მენთეშაშვილი (ვაშლოვანი), 70 კგ — ზურაბ ოდოშაშვილი (კასპი), 80 კგ — გიორგი ბაჯიაშვილი (ანა ბაჯის შთამომავალი, მუხათი), 90 კგ: ლაშა ბერიძე (რუსთ), **აბსოლუტური წონა** — მინდია ბოდაველი (თბ).

2 წონაში გათამაშდა მუხათელი ყოფილი მოჭიდავეების ხსოვნის პრიზები. ხვიჩა ბახუტაშვილის ხსოვნის პრიზი წილად ხვდა ლაშა ბერიძეს, გოდერძი დავითაშვილის ხსოვნისა — მინდია ბოდაველს.

**„ლელოს" კორ. სოფ. მუხათი (ფოტოები რობერტ ბაგოიანისა).**

# ხსოვნის ტურნირი მეოთხედ...

ვაჟა ჭკუასელს კარგად იცნობს ჩვენი სპორტული და განსაკუთრებით საკალათბურთო სამყარო. ამ შესანიშნავი მწვრთნელის ხელში ახალგაზრდა კალათბურთელთა თაობებს გაუვლია. ზუკა საკანდელიძე მისი ნიჭიერი შეგირდი იყო.

„ზუკა — დიდი ზურაბ საკანდელიძის შვილი, მოსკოვში დაიღუპა ტრაგიკულად. იყო უნიკალური მოთამაშე, საქართველოს ნაკრების კაპიტანი. მე და ჩემი მეგობრები უკვე ოთხი წელიწადია ვატარებთ მისი ხსოვნის ტურნირს" — გვითხრა ვ. ჭკუასელმა.

მეოთხე ტურნირში 16 გუნდი მონაწილეობდა. ჭაბუკთა 8-8 გუნდი — 1993 და 1994 წლიანებში. წლევანდელი ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩატარებაში ორგანიზატორებს მხარში დაუდგნენ ზუკას მეგობრები, სპორტული სკოლის დირექტორი მერაბ კეკელიძე, ვეტერანი კალათბურთელები, კომპანია „ჯეოსელი".

1994 წლიანებში პირველობა და თასი მოიპოვა თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის ოლიმპიური მომზადების ცენტრის „მართვემ" (მწვრთნელები — ზვიად დიბარიძე, ნინო ყიფშიძე), მეორე ადგილზე გავიდა ამავე ცენტრის მეორე გუნდი (მწვრთნელები — მამა-შვილი ზურაბ და გია სამხარაძეები), მესამე იყო ჩუღურეთის რაიონის სპორტსკოლის გუნდი (მწვრთნელი — დავით წიკლაური). 1993 წლიანებში „მართვე" — „ქუთაისი" დაუპირისპირდა ერთმანეთს. წარმატება წილად ხვდა იმერელთა გუნდს.

აჯილდოებს მერაბ კეკელიძე

ორგანიზატორებს ჩაფიქრებული აქვთ უკვე მომავალი ტურნირი საერთაშორისო გახადონ — ჯერ აზერბაიჯანის და სომხეთის ჭაბუკთა გუნდებს მოიწვევენ.

ნინო ნუგზარიშვილი.

1994-წლიანები

ფოტოები რობერტ ბაგოიანისა

1993-წლიანები

# ანტიკური ოლიმპიადებიდან დღემდე

## თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ხელოვნების კონკურსები

ძველბერძნული ოლიმპიური თამაშების მსგავსად, 1912 წლიდან, მეხუთე ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული, ეწყობა ხელოვნების კონკურსები. წინადადება ასეთი კონკურსების ჩატარების შესახებ ეკუთვნის **პიერ დე კუბერტენს.** 1906 წელს სოკ-ის სესიამ მიიღო ეს წინადადება და 1912 წლის სტოკჰოლმის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ხელოვნების კონკურსიც ჩართეს. კონკურსში გამარჯვებულები, თანახმად დამტკიცებული პირობებისა, ჯილდოვდებოდნენ თამაშების ოქროს მედლით. უკანასკნელად ხელოვნების კონკურსი მოეწყო 1948 წელს ლონდონის თამაშებზე. შემდგომში იგი კულტურული პროგრამით შეიცვალა.

ქვემოთ გთავაზობთ თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ხელოვნების კონკურსების გამარჯვებულებს.

**1912 წლის ოლიმპიური თამაშები:**

* **არქიტექტურა** — ანრი მონო, ალფონს ლიავერი — შვეიცარია, „თანამედროვე სტადიონის მშენებლობის გეგმა";

**ლიტერატურა** — ჟორჟ ჰორო, მ. ეშბახი — გერმანია, „ოდა სპორტს";

**მუსიკა** — რიკარდო ბარტელემი — იტალია, „ოლიმპიური ტრიუმფალური მარში";

**მხატვრობა** — ჯიოვანი პელეგრინი — იტალია, „ზამთრის სპორტი";

**სკულპტურა** — 1. უოლტერ უაინენსი — აშშ, „მწირი ამერიკიდან", 2. ჟორჟ დიუბუა — საფრანგეთი, „თანამედროვე სტადიონის კარების მოდელი";

* *როგორც კონკურსის შემდგომ გამოირკვა, აღნიშნული ავტორების გვარები იყო ფსევდონიმი და იგი ეკუთვნოდა პიერ დე კუბერტენს. ეს მოხდა საგანგებოდ, რათა ჟიურის წევრები თავისუფლები ყოფილიყვნენ გადაწყვეტილების მიღებაში. პიერ დე კუბერტენი ამ დროს სოკ-ის პრეზიდენტი იყო.*

**1920 წლის ოლიმპიური თამაშები:**

**არქიტექტურა** — 1. არ მიუნიჭებიათ, 2. ჰოლგერ სინდიგ-ლარსენი — ნორვეგია, „სატანვარჯიშო სკოლის პროექტი", 3. არ მიუნიჭებიათ;

**ლიტერატურა** — 1. რუნერო ნიკოლაი — იტალია, „იტალიური სიმღერები", 2. ენდრიუ კუკი — დიდი ბრიტანეთი, „ოლიმპიური თამაშები ანტვერპენში", 3. მ. ბლადელი — ბელგია", „დიდება ღმერთებს";

**მუსიკა** — 1. ჟ. მონე — ბელგია, „ოლიმპიკი", 2. ორესტე რივა — იტალია, „ეპინიკიონ", 3. არ მიუნიჭებიათ;

**მხატვრობა** 1. არ მიუნიჭებიათ, 2. ბროსენ დე პოლიანსკა — საფრანგეთი, 3. ა. ოსტი — ბელგია, „ფეხბურთელი".

**სკულპტურა** — 1. ა. კოლენი — ბელგია, „ძალა", 2. ლ. გოსენსი — ბელგია, „ციგებით მორბენალი", 3. ა. დე კიუპერი — ბელგია, „ბირთვის მკვრელი და მორბენალი".

**1924 წლის ოლიმპიური თამაშები:**

**არქიტექტურა** — 1. არ მიუნიჭებიათ, 2. ალფრედ ხაიოში — უნგრეთი, „სტადიონის პროექტი", 3. ჟ. მედესენი — მონაკო. „სტადიონი მონტეკარლოსათვის";

**ლიტერატურა** — 1. ჟორჟ შარლი — საფრანგეთი, „ოლიმპიური თამაშები", 2. იოზეფ პეტერსენი — დანია და მარგარეტ სტიუარტი — დიდი ბრიტანეთი — „საფარიკაო სიმღერები", 3. ოლივერ გოგარტი — ირლანდია, „ოდა ტაილტინის თამაშებზე" და ა. კ. გონე — საფრანგეთი, „ოლიმპიის ღმერთების წინაშე";

**მუსიკა** — არც ერთი პრიზი არ მიუნიჭებიათ;

**მხატვრობა** — 1. ჟან იაკობი — ლუქსემბურგი, „სპორტული ეტიუდები" „ფეხბურთი, რაგბი", „სტარტი"; 2. ჯეკ იოეტსი — ირლანდია, „ცურვა", 3. ი. ვან ხელი — ჰოლანდია, „მოციგურავე";

**სკულპტურა** — 1. კონსტანტინ დიმიტრიადისი — საბერძნეთი, „ფინელი ბადროს მტყორცნელი", 2. ფრანსუა ჰელდენშტეინი — ლუქსემბურგი, „ოლიმპიაში", 3. ჟან გაუგუინი — დანია. „მოკრივე" და ც. ლ. მასკო — საფრანგეთი, „შვიდი სპორტული მედალი".

**1928 წლის ოლიმპიური თამაშები:**

**არქიტექტურა. ა. არქიტექტურული პროექტები** — 1. იან ვილსი — ჰოლანდია, „ოლიმპიური სტადიონი", 2. ეინარ მინდედალ-რასმუსენი — დანია, „საცურაო აუზი ოლერუპეში", 3. ჟაკ ლამბერი — საფრანგეთი. — „ვერსალის სტადიონი", **ბ. ქალაქმშენებლობა** — 1. ადოლფ ჰენზელი — გერმანია, „ნიურნბერგის სტადიონი", 2. ჟაკ ლამბერი — საფრანგეთი, „ვერსალის სტადიონი", 3. მაქს ლაუგერი — გერმანია, „ჰამბურგის საქალაქო პარკი";

**ლიტერატურა. ა. ლირიკა** — 1. კაზიმეჟ ვეჟინსკი — პოლონეთი, „ოლიმპიური დაფნის გვირგვინი", 2. რუდოლფ ბინდინგი — გერმანია, „ცხენის სვლის წესები შეყვარებულთათვის", 3. იოჰან ვალტზერი — დანია. „საგმირო სიმფონია"; **ბ. დრამატურგია** — 1. არ მიუნიჭებიათ, 2. ლ. დე ბოზიზი — იტალია, „ნაპერწკალი" 3. არ მიუნიჭებიათ; **გ. ეპოსი** — 1. ფერენც დ-რ მეზე — უნგრეთი, „ოლიმპიური თამაშების ისტორია", 2. ერნსტ ვეისი — გერმანია, „ბატიუსი ორლამიუნდედან", 3. მ. კშარტენ — ანტიკი — ჰოლანდია. „დე ნარი მარემანში";

**მუსიკა. ა. სიმღერა** — არ მიუნიჭებიათ; **ბ. საინსტრუმენტო ნაწარმოებები** — არ მიუნიჭებიათ; **გ. საორკესტრო ნაწარმოებები** — 1. არ მიუნიჭებიათ, 2. არ მიუნიჭებიათ, 3. რ. სიმონსენი — დანია, „სიმფონია", 2. „ელადა";

**მხატვრობა. ა. ზეთი.** 1. ასაკ იზრაელესი — ჰოლანდია, „კავალიე რუჟი", 2. ლაურა ნაიტი — დიდი ბრიტანეთი, „მოკრივე", 3. ვალტერ კლემი — გერმანია, „სრიალი ციგურებით"; **ბ. ნახატები და აკვარელი.** 1. ჟან იაკობი — ლუქსემბურგი, „რაგბი" 2. ა. ვირო — საფრანგეთი, „ფეხბურთის ჟესტი", 3. მ. სკონჩილასი — პოლონეთი, „მშვილდოსანი"; **გ. გრაფიკა** — 1. უილიამ ნიკოლსონი — დიდი ბრიტანეთი, „ხის ფერადი გრავიურები": სპორტის 12 სახეობა, 2. კარლ. მოოსი — შვეიცარია. „მძლეოსნური პლაკატი", 3. მაქს ფელდბაუერი — გერმანია. „მეილკოჩი"; **სკულპტურა. ა. ქანდაკება** — 1. პოლ ლანდოვსკი — საფრანგეთი, „მოკრივეები", 2. მილო მარტინი — შვეიცარია, „დასვენებული ათლეტი", 3. რენე ზინტენისი — გერმანია, „ფეხბურთელები"; **ბ. ბარელიეფი და მედალი** — 1. ედვინ გრინაუერი — ავსტრია, „მედალი", 2. ი. ხრ. ვან დერ ჰეფი — ჰოლანდია, „ოლიმპიური თამაშების მედლები", 3. ედვინ შარფი — გერმანია „პლაკატი";

**1932 წლის ოლიმპიური თამაშები**

**არქიტექტურა — ა. ქალაქმშენებლობა** — 1. ჯონ ხიუსი — დიდი ბრიტანეთი, „ქლივერპულის სტადიონის სპორტისა და დასვენების ნაგებობათა გეგმა", 2. კლემენსენ — ჰაუმოლერი — დანია, „სტადიონის და საზოგადოებრივი პარკის გეგმა", 3. ანდრე ვერბეკი — ბელგია, „პარკის გეგმა მარათონული რბენისათვის"; **ბ. არქიტექტურული პროექტები** — 1. გუს საკე, პიერ ბეილეი, ჰ. მონტენო — საფრანგეთი, „ცირკი ხარებისათვის", 2. ჯონ რასელ პაუპი — აშშ, „სპორტული ნაგებობის „პეინ უაიტნის" გეგმა", 3. რიხარდ კონვიარზი — გერმანია, „სიდნეის სპორტული ბილიკის გეგმა"; **ლიტერატურა** — 1. პაულ ბაუერი — გერმანია, „კანტშისათვის (ბრძოლა ჰიმალაისათვის)", 2. იოსიფ პეტერსონი — დანია „არგონავტები", 3. არ მიუნიჭებიათ; **მუსიკა** — 1. არ მიუნიჭებიათ, 2. იოზეფ სუკი — ჩეხოსლოვაკია, „ახალი ცხოვრების გზით" „სიმფონიური მარში;" **მხატვრობა — ა. ზეთი** — 1. დავით ვალინი — შვეცია, „არილდეს ზღვის სანაპიროსთან" 2. რუტ მილერი — აშშ, „ჭიდაობა; **ბ. ნახატები და აკვარელი** — 1. ლი ბლეირი — აშშ, „როდეო", 2. პერსი კროსბი — აშშ, „დასაკეცი დანა", 3. გ. ვესტერმანი — ჰოლანდია, „ცხენოსნები"; **გ. გრაფიკა** — 1. ჯოზეფ უებსტერ გოლინკენ — აშშ, „მაკრატელა ფეხებით" (თავისუფალი ჭიდაობის ილეთი), 2. იანინა კონარსკა — პოლონეთი, „სტადიონი", 3. იოხაიმ კარში — გერმანია. „ესტაფეტის გადაცემა";

**სკულპტურა: ა. ქანდაკება** — 1. მეხონი იუნგ — აშშ, „ნოკაუტი", 2. მილტიადეს მანო — უნგრეთი, „ჭიდაობა"; 3. იაკუბ რზჩოვსკი — ჩეხოსლოვაკია, „ოდისეი" **ბ. მედლები და ბარელიეფები** — 1. იოზეფ კლიუკოვსკი — პოლონეთი, „სპორტბარელიეფი"; 2. ფრედერიკ მაკ-მონისი— აშშ, „ლინდბერგის მედალი", 3. ტენტ მაკკენზი — აშშ, „ათლეტის ნიშანი".

**დავით კინწურაშვილი,**

გაგრძელება იქნება.

დასაწყ. „ლელო" №2-დან.

# „აზოტმა" უთხრა..."

„რას სკანდირებენ მიუნხენის „ბაიერნის" ქომაგები? — ბუნებრივია, „ბაიერნ! ბაიერნ!" — მადრიდის „რეალისა? რა საკითხავია — „რეალ! რეალ!" თვით შინსახკომური „დინამოს" სოცმარაზმ დაუძლეველი „ბალელშიკებიც" კი, კლუბის სახელს გაჰკივიან — „დინამო! დინამო! დინამო!"

მერე რა, ასეთ ჭეშმარიტებაზე მიგვითითებთ, ბატონებო? — იკითხავს მკითხველი. ეს ხომ ბუნებრივია, ვისაც ქომაგობ, იმის სახელს გაჰყვირი. ვითომ ყოველთვის ასეა? აი, „თბილავიამშენის" კალათბურთელები ეთამაშებოდნენ რუსთავის... „აზოტს". როგორ ამხნევებდნენ მეტალურგთა (ან ყოფილ მეტალურგთა) ქალაქის გულშემატკივრები თავისიანებს? „რუსთავი! რუსთავი!", — გაისმოდა ტრიბუნებიდან.

კომენტარი თქვენთვის მომინდვია!

**P.S. — 1. კომუნისტების დროს ზესტაფონში იყო საფეხბურთო გუნდი „ცენტრმეტალურგმშენი". მე მათ თამაშს არ დავსწრებივარ, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ ის კოლექტივი ისე გაქრა სარბიელიდან, მის გულშემატკივრებს, ერთხელაც არ წამოსცდენიათ მისი სახელი (ენის ტრავმის თავიდან ასაცილებლად).**

**P.S. — 2. ისევ „აზოტს" თუ დავუბრუნდებით, საგაზეთო სათაური გამახსენდა — „აზოტმა" „დინამო" „გაანადგურა". ისე კი, აჯობებდა ყოფილიყო —"აზოტმა" „დინამო" მოახრჩო. თქვენ რას იტყვით?...**

ალ. ქლენტი.

# დებიუტანტი

## ხატია ბეჟაშვილი

(აკრობატიკა)

**დაიბადა** 1997 წლის 13 დეკემბერს
**სიმაღლე** — 124 სმ
**წონა** — 20 კგ
**სწავლობს** მე-20 სკოლის II კლასში
**აკრობატიკაში** ვარჯიშობს 2001 წლიდან
**ამპლუა** — ზევითა მოვარჯიშე
**მწვრთნელი** ეკა ხუბულური
**მიღწევები:** საქართველოსა და თბილისის ორ-ორგზის ჩემპიონი
**აკრობატიკის** გარდა გატაცებულია ცეკვით
**კერპი** — სვეტლანა ფეიქრიშვილი.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტის 1965 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანაკურსელის

ჯემალ მამულაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 23.05.06. გამოსვენება ბინიდან — ლარსის, 1, 14 საათზე.

# ვერისბაღელის მოგონებები

შეხვედრა წარსულთან

# სამუდამოდ დატყვევებული ნიკეს ქალღმერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1970 წლის დასაწყისიდან ვერის ბაღში გრანდიოზული სარემონტო სამუშაოები დაიწყო. მიწისაგან პირისაგან აღგავეს საზაფხულო კინოთეატრი, დაიწყო ახალი საჭადრაკო სასახლის მშენებლობა, მოშალეს გულშემატკივართა თავშეყრის საყვარელი ადგილი — პატარა შადრევანი. ხელუხლებელი დარჩა მხოლოდ კიროვის ძეგლი. ვერისბაღელმა გულშემატკივრებმა მისამართი შეიცვალეთ და ჩვენი ყოველდღიური დებატები ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბაღში იმართებოდა. იქაც პატარა შადრევანი ფუნქციონირებდა, რომელიც ალყაში ჰყავდათ მოქცეული „ფეხბურთის აკადემიის" სტაჟიან გულშემატკივრებს.

ახლოვდებოდა მსოფლიოს 1970 წლის IX ჩემპიონატის ფინალური ტურნირი, რომელიც ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მსგავსად, მექსიკის მაღალმთიანი ქალაქების სტადიონებზე უნდა გამართულიყო. საბჭოთა კავშირის ნაკრებს სათავეში, მრავალნაცადი **გავრილ კაჩალინი** ჩაუყენეს. ეს ინფორმაცია ბაღელებმა დიდი სიხარულით მიიღეს, რადგან გავრილ დიმიტრის ძე მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე რამდენიმე ქართველ ფეხბურთელს იახლებდა. ასეც მოხდა, ჩვენი პროგნოზი სავსებით დადასტურდა, ეროვნულ ნაკრებში და მექსიკის ჩემპიონატზე თამაშის საგზური **გივი ნოდიამ, რევაზ ძოძუაშვილმა, მურთაზ ხურცილავამ, კახი ასათიანმა,** ანზორ **კავაზაშვილმა** და 34 წლის სლავა **მეტრეველმა** მიიღეს. ვერისბაღელ გულშემატკივრებში იყვნენ ისეთი ბედნიერი ადამიანები და ჟურნალისტები, რომლებიც საკმაოდ ხშირად ესწრებოდნენ მსოფლიო საფეხბურთო ფორუმს. მათ შორის დავასახელებდი **გიორგი დემეტრაძეს**, მხატვარ-კარიკატურისტ **გიგლა ფირცხალავას**, პარტიულ მუშაკს **გივი შუღაროვს**, ტელეჟურნალისტ **დავით ქლიბაძეს**, „კომუნისტის" კორესპონდენტს **ოთარ ნოზაძესა** და „ლელოს" რედაქტორს **მიხეილ კაკაბაძეს**. თითოეული მათგანის შთაბეჭდილება, საკუთარი თვალით ნანახი შეხვედრები ფასდაუდებელი ინფორმაცია იყო ჩვენთვის.

მექსიკური ბატალიების დაწყებას წინ უძღოდა საგანგებო პრესკონფერენციები, სადაც გაუთავებელი მსჯელობა მიმდინარეობდა იმის შესახებ, თუ რომელი ნაკრები მოიპოვებდა ნიკეს ოქროს ქალღმერთს. ჟურნალისტები რედაქციებში სასაუბროდ ვიწვევდით იმ ქართველ ფეხბურთელებს, რომლებიც მექსიკის მინდვრებზე უნდა გამოსულიყვნენ. მახსოვს, ერთხელ, გაზეთ „თბილისში" ინტერვიუზე მოვიწვიეთ **მურთაზ ხურცილავა**. პრესის მუშაკებმა მას სეტყვასავით დავაყარეთ შეკითხვები. თუ ვინ მოიპოვებს ჩემპიონის ტიტულს, ხურცილავამ საკმაოდ დამაჯერებლად განგვიცხადა: ჩემი აზრით, ეს იქნება ინგლისის ეროვნული გუნდი. მე, რა თქმა უნდა, გამეღიმა და მივუგე — მექსიკა, ჩემო მურთაზ, ინგლისი არ გეგონოს, სადაც პელეს ცემა-ტყეპა იქნება შესაძლებელი. მექსიკელები თავისი ნაკრების დამარცხების შემდეგ ბრაზილიის ნაკრებს დაუწყებენ ქომაგობას. პელეს ნაკრები უკვე მესამედ და საბოლოოდ დაატყვევებს ნიკეს 1800-გრამიან ოქროს თასს და ამ საპატიო პრიზს რიო-დე-ჟანეიროს ოფისში მიუჩენს ადგილს. ასეთმა განცხადებამ ირონიული ღიმილი გამოიწვია ჩემს რესპონდენტში. მაშინ დინამოელთა კაპიტანს ნიძლავი შევთავაზე. თუ ინგლისელებმა, ზედიზედ მეორედ მოიგეს ჩემპიონობა, მაშინ მე მას ცისფერ, საფირმო პერანგს გადავცემ. თუ ბრაზილიის ნაკრები, პელეს მეთაურობით მესამედ, გიტარაზე დაკვრით და შეძახილებით — ბრაზილ! ბრაზილ! ბრაზილ! — გაიმარჯვებს, მურთაზი მექსიკიდან შავ სომბრეროს ჩამომიტანს. წინასწარ მინდა მოგახსენოთ — ჩემი პროგნოზი უკვე მეოთხედ გამართლდა — ბრაზილიამ ყველანი გააოცა, ხოლო წაგებულმა კაპიტანმა მექსიკიდან არაფერი ჩამოიტანა!

ვერისბაღელები, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ოპერის ბაღში ვიკრიბებოდით. ერთ საღამოს ბელადმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ამჟამინდელი ნაკრების ნახევარმცველი, სულმნათი **კახი ასათიანი**, ერთი თავით მაღლა იდგა **გიორგი სიჭინავაზე**. „ჩორნას" ვერც ბრაზილიელთა კაპიტნის ჰიდერალდო **ლუის ბელინის** აღიარებამ უშველა, როცა ამ უკანასკნელმა 1965 წლის 4 ივლისის მოსკოვური მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე საჯაროდ შეადარა იგი ბრაზილიელ მოთამაშეს. მერხიდან წამოხტა ბელადის პირველი ოპონენტი გიორგი დემეტრაძე, რომელმაც უთხრა **ქართლოს სვანიძეს**: — ვიცი არ გიყვარს პატარა სიჭინავა. მიზეზიც თითოეული ჩვენთაგანისათვის ცნობილია. ახლავე რეფერენდუმს მოვაწყობ და აუცილებლად დამარცხდები —. გოგიმ სადღაც რვეული იშოვა, პატარა ფურცლები დაგვირიგა და გვთხოვა დაგვეწერა მხოლოდ ფეხბურთელის გვარი. 20 წუთში ხმის დამთვლელმა კომისიამ — **ლევან ჩიკვილაძემ, გიგლა ფირცხალავამ** და **ლევან ჭაჭიაშვილმა**, რეფერენდუმის შედეგები გაგვაცნეს. ანგარიშით 42:38 გაიმარჯვა გიორგი სიჭინავამ (ბელადს რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიუღია). ოპერის ბაღში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. გოგი დემეტრაძემ ბელადს უთხრა, რომ რეფერენდუმი სიჭინავას გამარჯვებით დასრულდა. ქართლოსმა იხტიბარი არ გაიტეხა და ყველა ჩვენგანის გასაგონად განაცხადა:

— როგორც ნახეთ, რეფერენდუმი ძმებო, ფრედ დასრულდა!

— როგორ ფრედ, კაცო? — ვერ მოითმინა **ვერნი ალფაიძემ**.

— მე თუ გულშემატკივრების ბელადი ვარ, ოთხი ხმა აღარ მეკუთვნის? ბაღში ისეთი ხარხარი ატყდა, რომ ოპერის თეატრიდან ვიღაცამ გამოიხედა. ლევან ჩიკვილაძეს სიცილისაგან ცრემლები სცვიოდა. მეორე საღამოს, ბაღში ბრაზილიის ნაკრების კიდევ ერთი ერთგული გულშემატკივარი **ალექსი მაზმანაშვილი** მოვიდა. ლექსოს ხელში პატარა რვეული ეჭირა. მან დამსწრეებს ჩამოუარა და სთხოვა ჩამოეწერათ მექსიკის IX ჩემპიონატის მომავალი გამარჯვებული ნაკრები გუნდი. როცა ლექსომ ჩემამდე მოაღწია, გამიღიმა და განაცხადა: — შალვა, შენ არ გინდა კითხვა, ბრაზილიის ნაკრები ჩავწერო, ხომ?

— ჩაწერე ლექსო, რას ეკითხები, უთხრა რეფერენდუმის მოწყობის ავტორს გივი შუღაროვმა. ეს ჟურნალისტი 1956 წლიდან პელე-გარინჩას ნაკრებს ეთაყვანება, ალბათ, სწორადაც იქცევა. ყველა ჩვენთაგანს ბელადის აზრი აინტერესებდა. ლექსომ რვეულში მისი რჩეული ნაკრები — იტალია ჩაწერა.

ოპერის ბაღში შეკრებილები მოუთმენლად ველოდით ვარდობის თვის დასრულებას. 31 მაისს, მეხიკოს გიგანტურ „აცტეკას" ულამაზეს სტადიონზე, მსოფლიოს IX ჩემპიონატის გახსნის პატივი მექსიკისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებს ხვდათ. მანამდე კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მიმდინარეობდა. **გივი ჩოხელის** დამოძღვრილი თბილისის „დინამო" ხუთი წამყვანი მოთამაშის გარეშე ასპარეზობდა, ასეთ სიტუაციაში გუნდი არათანაბრად ატარებდა კალენდარულ შეხვედრებს.

როგორც იქნა, ის 31 მაისიც დადგა. ყველა ჩვენგანი ცისფერ ეკრანს მიეჯაჭვა, ხოლო ჩემს მიერ ნახსენები რამდენიმე ვერისბაღელი ბოინგ-747 — ვერცხლისფერმა ლაინერმა აცტეკების ქვეყანაში ჩაიყვანა. თბილისში დიდი აჟიოტაჟი იდგა. გულშემატკივართა არმიამ ჩეხური ლუდის დიდი რაოდენობა მოიმარაგა და თვალს არ აშორებდა იმ არაჩვეულებრივ სანახაობას, რომელიც მექსიკის სტადიონებზე ხდებოდა. ეს იყო თანამედროვე ფეხბურთის თვალწარმტაცი ფიესტა. საბჭოთა ნაკრებმა ძალიან ფრთხილი თამაში აჩვენა მაყურებლებს და „აცტეკის" 110-ათასიან აუდიტორიაზე შეკრებილებმა მხოლოდ უგოლო ფრე იხილეს.

გავრილ კაჩალინმა ძოძუაშვილი, ხურცილავა და მეტრეველი „დაასვენა". სამაგიეროდ, მეორე მატჩში ბელგიასთან, მოედანზე გამოჩნდნენ რეზო ძოძუაშვილი და მურთაზ ხურცილავა, რამაც საკმაოდ გაამაგრა საბჭოთა კავშირის ნაკრების დაცვითი ხაზი. ჩვენ ის გაგვიხარდა, რომ ბელგიელებთან მოპოვებულ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს თბილისელებმა. კახი ასათიანის გატანილი ბურთი დიდხანს არ სცილდებოდა ტელეეკრანს. ბელადი და „პოდრიაჩიკა" (**გივი ადიკაშვილი**) ჩუმჩუმად ჩემსკენ აპარებდნენ მზერას და თვალებით მეკითხებოდნენ, რას შვრება შენი ბრაზილიაო? რას შვრებოდა ბრაზილიის ნაკრები და დიდი ნახტომისთვის ემზადებოდა.

მოსამზადებელ ციკლში, ბრაზილიის ნაკრების ხელმძღვანელობამ და ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ, რიო-დე-ჟანეიროს პროფესიონალური კლუბის „ბოტაფოგოს" (დღესაც ამ კლუბის ქომაგი გახლავართ) ცნობილ ბასკ მწვრთნელსა და ჟურნალისტს **ჟოაო სალდანიას** ჩაბარა. ამ უკანასკნელმა 120 ნაკრების კანდიდატიდან 22 შეარჩია და იგი თავისივე კლუბის ყოფილ მარცხენა გარემარბს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს **მარიო ჟორჟე ლობო ზაგალოს** ჩააბარა. ჟოაო სალდანია კი „ჟორნალ დო-ბრაზილის" ტელეარხმა კომენტატორად მიავლინა მექსიკაში. დღეს, თბილისში ჩამოსულ „იბერიას" ფუტსალის კლუბის უფროს მწვრთნელს **მარსელო ამარალს** ვკითხე, თუ რატომ ბოლომდე არ ანდეს სენიორ სალდანიას ბრაზილიის ნაკრების გაძღოლა. მარსელომ გაიცინა და მითხრა: სენიორ ჟოაო სალდანია კომუნისტი გახლდათო.

საბჭოთა ნაკრების მექსიკიდან დაბრუნების შემდეგ, ერთი არასასიამოვნო ამბავი შევიტყვეთ ბაღელებმა. 28 მაისს, გავრილ კაჩალინმა ორმხრივი, ბოლო საწვრთნელი თამაში ჩაატარა თავისი ნაკრების ფეხბურთელებთან. მეორე ნაკრებში 33 წლის სლავა მეტრეველს უთამაშია. ერთ მომენტში მეტრეველს **ევგენი ლოვჩევი** მოუტყუებია. სპარტაკელთა მცველმა ზღართანი მოადინა მწვანე მინდორზე. სლავკას თურმე სიცილი წასკდა, ეს გავრილ კაჩალინმა შეამჩნია და „სოვეტიკა გარინჩად" შერაცხილი თბილისის დინამოელი იმით დასაჯა, რომ მექსიკის IX ჩემპიონატის არც ერთი შეხვედრა არ ათამაშა. არადა, ლეგენდარულ ვარსკვლავს 30 მაისს დაბადების 34 წელი შეუსრულდა.

ჟოაო სალდანია კი ერთი წუთითაც არ სცილდებოდა თავის ნიჭიერ შეგირდს — მარიო ზაგალოს. ისინი, როგორც მერე გამოირკვა, ერთად აკომპლექტებდნენ ნაკრებს. მექსიკური სიცხე და მაღალმთიანი სტადიონები, ბრაზილიელთა მეგობრები იყვნენ. ზაგალოს ნაკრების უპირველესი თავის ტკივილი მეკარე ფელიქსი იყო. ყველას ესმოდა, რომ თამაშის კლასით, იგი აშკარად ჩამოუვარდებოდა ჟილმარს. ასეა თუ ისე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს არ გაჭირვებიათ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება. იტალიის ნაკრებიც ჩინებულად ასპარეზობდა და „სკუადრა აძურამ" ფინალს უწია. მეორე ფინალისტი პელე-ტოსტაოს ნაკრები იყო. ბევრი რომ არ გავაგრძელო, 21 ივნისს „აცტეკას" სტადიონზე ერთმანეთს ბრაზილიისა და იტალიის ნაკრები გუნდები დაუპირისპირდნენ. ოპერის ბაღში შეკრებილი „ტორსიდა" უკვე ორად გაიყო. ქართლოს სვანიძის მომხრეების დიდ ნაწილს სჯეროდა, რომ „სკუადრა აძურა" ანდერძს აუგებდა ჩემპიონებს. საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი კი უკვე დამაჯერებლად ქადაგებდა — „ღმერთი სამბითააო" და ბრაზილიელები ნიკეს ქალღმერთს სამუდამოდ ჩაიხუტებენო. სოლოლაკში, სკოლის მეგობართან, ერთ საკმაოდ მოზრდილ ოთახში ოთხმა ფანატმა გულშემატკივარმა მოვიყარეთ თავი. დიდი ეკრანიანი ფერადი ტელევიზორის „პანასონიკის" წინ სახელდახელო სუფრაც გავშალეთ. ფეხბურთის დიდი სპექტაკლი ბრაზილიელთა სრული ტრიუმფით — 4-1 დასრულდა, თუმცა, ასეთ ანგარიშს არავინ მოელოდა. ცალცალკე შევსვით პელეს, ტოსტაოს, კარლოს ალბერტოს (კაპიტანი) სადღეგრძელოები. მე ჟოაო სალდანიაც არ დამავიწყდა. ერთმა ჩემმა მეგობარმა იგი **ანდრო ჟორდანიას** შეადარა.

ძალიან გახარებულებმა, ღამის 2 საათისათვის ოპერის ბაღისაკენ გამოვწიეთ, თან გზად ვმღეროდით — ბრაზილია, ბრაზილია, ქალღმერთი ნიკე არ გაგიციედეს, კარგად შეინახე იგი, მოუარე ძვირფას ნადავლს.

ერთ გულშემატკივარს გაუგონია ჩემი ამაღლებული შეძახილები და ბელადისთვის მიუმართავს:

— ქართლოს, გირჩევნია დაიმალო, შენი სამჯერ მძლეველი (შვედეთი, ჩილე, მექსიკა), სპორტული ჟურნალისტი შალვა ქირია მოდის თავისი ამალითო!

ოპერის ბაღში შეკრებილები მეხვეოდნენ, მილოცავდნენ ბრაზილიელთა ისტორიულ გამარჯვებას. მსოფლიოს ჩემპიონატების ყურება აღარ გვაინტერესებს, უკვე თამამად აცხადებენ ჩემი მომრავლებული მომხრეები. პელემ დახურა ფეხბურთი, მაგის დონის ვარსკვლავი აღარ დაიბადება.

მექსიკიდან დაბრუნებულმა ჩემმა კოლეგამ, სულმნათმა ოთარ ნოზაძემ მიამბო. — ფინალური შეხვედრის შემდეგ, მაყურებლები მინდორზე შეიჭრნენ და ნაკუწ-ნაკუწებად აქციეს ბრაზილიელ ფეხბურთელთა სპორტული ფორმა. განსაკუთრებით დაზარალდა „ფეხბურთის მეფე" — პელე, რომელსაც იღლიებში თმებიც კი დააგლიჯეს. პელე გასახდელში მთლად შიშველი ჩაიყვანეს, მოასულიერეს, დაბანეს, ახალი სპორტული ფორმით შემოსეს. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალმა 1,5 საათი დააგვიანა. მიხეილ კაკაბაძე თავის წიგნში „ოქროს ქალღმერთიდან ფიფას თასამდე" წერდა: „ბრაზილიის ნაკრების გამარჯვება ფეხბურთის ნამდვილი დღესასწაული გახლდათ. ამ ფენომენური გუნდის ლიდერი პელე ახალ ამპლუაში წარმოგვიდგა და სრულიად ახალი წახნაგებით გაბრწყინდა. ოდნავ უკან დახეული პელე ერთი შეხედვით თითქოს არ გამოირჩეოდა თავისი არტისტული პარტნიორებისაგან, მაგრამ კარაიანივით „თვალდახუჭული" გენიალურად დირიჟორობდა ფეხბურთის ამ მართლაც ჯადოქრების ანსამბლს და მუდამ იქ იყო, სადაც სათამაშო სიტუაცია მოითხოვდა."

მახსოვს, ერთხელ, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის წინ, მე და ვერისბაღელი **ვანო ცაგარეიშვილი** მექსიკის განვლილ ბატალიებს ვიგონებდით. აგვისტოს შუადღე იყო, ქალაქს ალმური ასდიოდა, აუტანლად ცხელოდა. მოულოდნელად ჩვენ შავ კოსტიუმებში გამოწყობილი რამდენიმე წარმოსადეგი ჯენტლმენი მოგვიახლოვდა, ერთმა მათგანმა ვანიჩკას ესპანურად მიმართა და ჰკითხა, გეთაყვა, გთხოვთ გამაგებინოთ რა შენობაა ასეთი მომხიბვლელიო. ვანომ წმინდა ესპანურ ენაზე განუმარტა პერუს საპარლამენტო დელეგაციაში შემავალ მინისტრებს, რომ ეს ლამაზი შენობა არის დიდი ქართველი კომპოზიტორის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, რომელიც აგებულია 1887 წელს. მან თეატრის მოჩუქურთმებულ ფასადზე მიუთითა იმ ციფრებზე (თუ კარგად არ დააკვირდით ვერ შეამჩნევთ), სადაც აგების წელია გამოსახული. ვანიჩკამ მეგზურობა იკისრა და პირდაპირ სტუმრები თეატრის დარბაზში მიიწვია, ისიც უთხრა, რომ აქ მღეროდა ლეგენდარული ვანო სარაჯიშვილი, რომელმაც სტაჟირება მილანის ლეგენდარულ საოპერო თეატრ „ლა-სკალაში" გაიარა. ეს ის საქართველოს ბულბულია, რომელმაც აღაფრთოვანა „ლა-სკალას" თეატრის მაყურებელი. შავ კოსტიუმებში გამოწყობილ მინისტრებს ოფლი ჩამოსდიოდათ სახეზე, ისინი გაოგნებულები უსმენდნენ ცაგარეიშვილს.

— ვანიჩკა, ჩუმად მივმართე მეგობარს, —რადგან — სამხრეთამერიკელები არიან, ფეხბურთიც ეყვარებათ. პერუს ნაკრების მეხიკოში გამოსვლაც გაახსენე და შემადგენლობას ახლავე ჩამოვარაკრაკებ. ეს იდეა ჩემს მეგობარს მოეწონა და მან სტუმრებს ასეთი კითხვით მიმართა. პერუელები ისევ გაოცდნენ, როგორ, საქართველოში ფეხბურთსაც პატივს სცემთო? ჩვენი ხუთი მოთამაშე, — უთხრა ვანიჩკამ სტუმრებს, — რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, გივი ნოდია, კახი ასათიანი და ანზორ კავაზაშვილი, საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდნენ, ხოლო სლავა მეტრეველი სათადარიგო სკამზე იჯდა. მეტრეველის ხსენებაზე ერთმა სტუმარმა გვკითხა — ქართველიაო? — რა თქმა უნდა, სენიორ, იგი ქართველია, ისე როგორც **მიხეილ მესხი**. — ახლა ჩემი ჯერი დადგა და მე ზეპირად ჩამოვთვალე პერუს ნაკრების მოთამაშეთა გვარები — **კუბილასი, ჩალე, ფლუენტესი, მიფლანი, ბაილონი, სოტილი, ჩუმპიტასი, კამპოსი** და სხვები, ვინც გამახსენდა. ისიც ვუთხარი სამხრეთამერიკელ პარლამენტარებს, რომ მათ წერთნის „შავ პრინცად" მონათლული „ხმელი ფოთლის" ავტორი, მაესტრო დიდი **ვალდირ პერეირა**, რომელიც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია. უამრავი ხალხი შემოგვეხვია. ყველა გაკვირვებული უსმენდა ჩვენს ტემპერამენტიან საუბარს. ბოლოს სტუმრებმა ჯიბეები მოიქექს, მე და ვანოს პერუს ფეხბურთის ფედერაციის სამკერდე ნიშნები გვისახსოვრეს. ერთმა პერუელმა სტუმარმა კი ვანიჩკას მიმართა, რომ აღფრთოვანებულია ჩვენთან შეხვედრით. კარგი იქნება, თუ ჩვენ ორივენი საღამოს თქვენი ქვეყნის „პრეზიდენტის" ვასილ მჟავანაძის ოფიციალურ მიღებაზე მობრძანდებითო. ჩვენ მადლობა მოვახსენეთ სტუმრებს და გულთბილად დავემშვიდობეთ. საღამოს, ოპერის ბაღში შეკრებილმა „ტორსიდამ" დაწვრილებით შეიტყო ყოველივე...

9 ივნისს, ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატში ჩაებმება. მე მიმაჩნია, რომ **კარლოს ალბერტო პარეირას** 23 აღსაზრდელი კიდევ ერთ საფეხბურთო სანახაობას შემოგვთავაზებს. 1958 წლის ზაფხულში, ბრაზილიელებმა ევროპიდან ამაზონის ნაპირებზე გზას გაუყენეს ნიკეს ოქროს ქალღმერთი. ევროპის სახელმწიფოთა ნაკრებ გუნდებს ჯერ არასოდეს მოუპოვებიათ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, როცა ასეთი უმაღლესი რანგის ჩემპიონატი სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე ჩატარებულა. რონალდინიო, მართალია, გარინჩა არ არის და არც მარადონა (პელესგან იგი ძალიან შორსაა), მაგრამ გაუჩოს დაჭერა სახუმარო საქმე როდია. ვფიქრობ, ბრაზილიელები მეექვსედ შეძლებენ თასის მოგებას, თუმცა, არსებობს ერთი მაგრამ — ეს გახლავთ ობიექტური მსაჯობა.

მინდა ამაღლებულ ნოტზე დავასრულო ჩემი „ვერისბაღელის მოგონებათა" სერია. ვიცი ეს გახსენება ბევრს ძალიან მოსწონს, ზოგიერთი კი, ალბათ, ფიქრობს, აღარ აპირებს ეს კაცი მოგონებათა სერიალის დასრულებას? რაღა იტალიური ტელესერიალი „ჩენტო ვეტრინე" და რაღა ვერისბაღელიო. მოსაყოლი და გასახსენებელი კიდევ ბევრი მაქვს. „ლელოს" ფურცლებზე გამოქვეყნებული ნარკვევების სერიის აკინძვა რომ შემეძლოს და წიგნის სახით დაბეჭდვა, ურიგო არ იქნებოდა, მაგრამ ეს ჩანაფიქრი შეძლებული სპონსორის გამონახვას საჭიროებს.

ვერის ბაღის „ფეხბურთის აკადემიაში" ჩვენ ერთმანეთის სიყვარული, ურთიერთგატანა (რაც ქართველთა „აქილევსის ქუსლია") ვისწავლეთ. პატივს ვცემდით ერთმანეთის აზრს, ვმეგობრობდით. ვერის ბაღში კაცობა ვისწავლეთ. განუზომლად გვიყვარდა სამშობლო, ჩვენი მდიდარი ისტორია, კულტურა, სპორტის სამყარო...

**შალვა ქირია**

**სურათებზე:** პელე და ტოსტაო მექსიკის ცის ქვეშ. ნიკეს ოქროს ქალღმერთის სამუდამოდ დამტყვევებელი ბრაზილიის ეროვნული ნაკრები.

**ავტორის ფოტოარქივიდან.**

# ჭირმა თავი არ დამალა

გერმანულ ყაიდაზე აწყობილი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები სლოვაკეთში იმედიანად გაემგზავრა. მიუხედავად, იმისა, რომ გუნდს სრულყოფილი საწვრთნელი შეკრება გავლილი არ ჰქონდა, ჰაინც ტოპმიოლერს სჯეროდა, რომ ბიჭები საუკეთესო თვისებებს გამოავლენდნენ და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ღირსეულად იასპარეზებდნენ, მაგრამ ყველაფერი მოხდა პირიქით. ქართული ფეხბურთის, თითქმის ყველა პრობლემამ თავი ერთად იჩინა. ძლიერ და განსწავლულ მეტოქეებს ჩვენმა ჭაბუკებმა მხოლოდ ზედმეტი ემოციები და აშკარა უკლასობა დაუპირისპირეს, შედეგიც ლოგიკური მივიღეთ, **სრული ფიასკო, ორ მატჩში გაშვებული ათი გოლი, ორი გაცუდებული პენალტი და ტრადიციულად, ბევრი ყვითელი და წითელი ბარათი.** ჩვენი ნაკრების უნიათობა, სამწუხაროდ, პირველივე მატჩში გამოჩნდა. თითქოს მოვინდომეთ, რაღაცას ვცდილობდით, მაგრამ ვერაფერი გავაწყვეთ. ჯერ თურქებმა მოგვიგეს ჩვენთვის დამთრგუნველი ანგარიშით, რასაც სლოვაკებთან განცდილი, ასევე მწარე მარცხი მოჰყვა. ევროპულ ფინალს უპერსპექტივოდ დავშორდით და დღევანდელი მატჩი უბრალო ფორმალობად იქცა. ოთხთა ტურნირში ძალთა თანაფარდობა სამართლიანად განაწილდა. ფავორიტები — თურქები და სლოვაკები ფინალური ეტაპის ერთადერთი საგზურისთვის იპაექრებენ, აშკარა აუტსაიდერები — ქართველები და ირლანდიელები არაფრის მომცემ მესამე ადგილისთვის „იბრძოლებენ" ერთმანეთში.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 9-1 | 6 |
| სლოვაკეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-3 | 6 |
| ირლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 3-6 | 0 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-10 | 0 |

## ტურნირის სტატისტიკა

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი 19 წლამდე ჭაბუკთა ნაკრებებს შორის. სლოვაკეთი. 19-23 მაისი.

**19 მაისი. დუბნიცა. სტადიონი „მესტსკი". 500 მაყურებელი.**

**I ტური. საქართველო — თურქეთი 0-6**

**საქართველო:** რევიშვილი, თომაშვილი, ხიდეშელი, ბენაშვილი, განუგრავა, ა. კობახიძე, ბჟალავა, ჩირიკაშვილი (ბ. გოცირიძე 57), ხოხონიშვილი, კახელიშვილი, წინამძღვრიშვილი.

**თურქეთი:** ბაბაჯანი, კურტულუსი, იოზთორუნი, კარამანი, იოზჯანი, თურანი (გიურსოი 75), კაჰრამანი, პარლაკი, ერკინი, ერდინჩი (გიუვენი 61), ატაში.

**გოლები:** 0-1 პარლაკი (3), 0-2 ერკინი (28) , 0-3 იოზჯანი (63), 0-4 თურანი (67), 0-5 გიურსოი (82), 0-6 პარლაკი (86).

**გააფრთხილეს:** წინამძღვრიშვილი (34), კახელიშვილი (38), ატაში (60). **მსაჯი:** კ. ჩირკეტა (შვეიცარია).

**სლოვაკეთი — ირლანდია 3-2**

**21 მაისი. პარტიზანსკი. სტადიონი „ტემპო". 1500 მაყურებელი**

**II ტური. სლოვაკეთი — საქართველო 4-1**

**სლოვაკეთი:** კამენარი, ბელანიკი, კრაინიკი, სიმონჩიჩი, გრენდელი, დუბეკი, კუზმა (პეტოვსკი 46), ჰანტელი, მრაზი, ქოგანი, კონჩიციკი.

**საქართველო:** რევიშვილი, ხოხონიშვილი, თომაშვილი (ბენაშვილი 46), განუგრავა, კობახიძე, ბჟალავა, მჭედლიშვილი (კვარაცხელია 78), გოცირიძე, წინამძღვრიშვილი, გვაძაბია (კვანტალიანი 80), კახელიშვილი.

**გოლები;** 1-0 დუბეკი (7), 2-0 მრაზი (23), 2-1 წინამძღვრიშვილი (76), 3-1 პეტოვსკი (81), 4-1 მრაზი (90). 43-ე და 76-ე წუთებზე პენალები ვერ გამოიყენეს გოცირიძემ და წინამძღვრიშვილმა.

**გააფრთხილეს:** ჰანტელი (11), ბელანიკი (16), ხოხონიშვილი (25), ბჟალავა (32), მჭედლიშვილი (45), განუგრავა (48), გოცირიძე (62), რევიშვილი (86), მრაზი (86).

**გააძევეს:** განუგრავა (65), მრაზი (90) **მსაჯი:** ი. ეგოროვი (რუსეთი).

**თურქეთი — ირლანდია 3-1**

**დღეს, III ტური:** სლოვაკეთი — თურქეთი, საქართველო — ირლანდია

# ქართული ფეხბურთის ფენომენი

**დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" №37**

„დინამოს" ევროთასებზე გამოსვლებთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ორრაუნდიანი დაპირისპირებები ევროპის ორ დიდ გუნდთან: მილანის „ინტერთან" და „ლივერპულთან". „ინტერთან" ორთაბრძოლები უეფას თასზე 1977 წლის სექტემბერში შედგა და პირველი მატჩი, რომელიც მილანის „სან სიროს" სტადიონზე გაიმართა, იტალიელთა მარცხით დასრულდა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრაში ერთადერთი გოლი **დავით ყიფიანმა** მას შემდეგ გაიტანა, რაც იტალიის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მცველს **ჯიაცინტო ფაკეტის** აართვა ბურთი, შემდეგ საჯარიმოში შეიჭრა და საგოლე დარტყმა შეასრულა. განმეორებითი შეხვედრა თბილისში ფრედ 0-0 დასრულდა და „დინამომ" ურთულესი იტალიური ბარიერი გადალახა.

1979 წლისთვის ჩვენმა ფეხბურთელებმა მიაღწიეს სპორტული ფორმის მაღალ კონდიციას და ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ (თუ ერთადერთად არა) გუნდად ჩამოყალიბდა. თბილისელებმა დრამატიზმით აღსავსე ბრძოლების შემდეგ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, რაც „დინამოსთვის" მისი არსებობის მანძილზე მეორე გამოდგა. ამ გამარჯვებით „დინამო" უნდა ჩაბმულიყო ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. კენჭისყრამ ჩვენს გუნდს უტიტულოვანესი ინგლისური საფეხბურთო გიგანტი „ლივერპული" შეახვედრა, რომელიც თავისი სპორტული დიდების ზენიტში იმყოფებოდა. „ლივერპული" ჩემპიონთა თასის მოქმედი (1978) გამარჯვებული იყო და ევროპის ეს ყველაზე პრესტიჟული ტურნირი 1977 წელსაც მოგებული ჰქონდა. ფეხბურთის ბევრ სპეციალისტსა და გულშემატკივრებს „ლივერპული" დაუმარცხებელ გუნდად მიაჩნდათ და მითი ამ კლუბის უძლეველობის შესახებ, პირველ მატჩში არც დამსხვრეულა. „ლივერპულმა" საკუთარ „ენფილდროუდის" სტადიონზე დაამარცხა თბილისის „დინამო" 2-1. ჩვენი მხრიდან, გოლი გაიტანა გუნდის კაპიტანმა **ალექსანდრე ჩივაძემ.** გავიდა ორი კვირა და 1979 წლის 3 ოქტომბერი ღირსშესანიშნავ დღედ იქცა ქართული ფეხბურთის ისტორიაში. კონტინენტის მთავარ ტურნირში მეთექვსმეტედ მონაწილე ინგლისური „გრანდი", ჩემპიონთა თასის დებიუტანტთან, თბილისის „დინამოსთან", ნისლიანი ალბიონისათვის დამახასიათებელ წვიმიან ამინდში, ქართველ გულშემატკივართა თვალწინ განადგურდა. ლივერპულელი მეკარის **კლემენსის** კარში ბურთები ქართული ფეხბურთის ორმა საუკეთესო ფორვარდმა **გუცაევმა** და **შენგელიამ** გაიტანეს. წინა მატჩის მსგავსად, მეტოქის კარი წარმატებით დალაშქრა ჩვენი გუნდის დაცვის ბურჯმა ჩივაძემაც. მან თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა. 3-0 თბილისელთა სასარგებლოდ. „ლივერპული" გავარდა. „დინამომ" ამ სენსაციური გამარჯვებით საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

ამ მოვლენიდან ზუსტად ერთ წელიწადში ქართული ფეხბურთის ფლაგმანი კვლავ ჩაება ევროტურნირებში, როგორც საბჭოთა კავშირის თასის გამარჯვებული გუნდი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასისთვის ბრძოლაში, კვლავ უნდა შესჭიდებოდა რჩეულ ევროპულ კლუბებს. თბილისელებს ამ ტურნირში მონაწილეობა, ერთხელ უკვე ჰქონდათ მიღებული და ამის უფლება მათ სსრ კავშირის თასის ფინალში უპრინციპულესი მეტოქის, ერევნის „არარატის" ძლევის შემდეგ მოიპოვეს. „დინამომ" ანგარიშით 3-0 დაამარცხა „არარატი", პირველად დაეუფლა ნანატრ თასს და ჩაება 1976-77 წლების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. მაშინ „დინამო" ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო, ევროტურნირებში მონაწილეობის დიდი სტაჟიც არ გააჩნდა, ამ ტურნირშიც თავი დიდად ვერაფრით წარმოაჩინა. თუმცა ფეხბურთელებმა საკმაოდ გაიღრმავეს საფეხბურთო ცოდნის არეალი. ეს კი მომავალი გამარჯვებების ერთ-ერთი მთავარი საწინდრად იქცა. გავიდა ოთხი წელიწადი. „დინამოს" უკვე მდიდარი გამოცდილება ჰქონდა მიღებული, მოთამაშეებიც ურთულეს ბრძოლებში გამოიწვრთნენ და გუნდიც მაღალ დონეზე დახელოვნდა. 1980-81 წლების ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში, დინამოელებმა ერთმანეთის მიყოლებით, როგორც იტყვიან, ტურნირიდან ერთი ამოსუნთქვით დაითხოვეს: „კასტორია" (საბერძნეთი), „უოტერფორდი" (ირლანდია), „ვესტ ჰემი" (ინგლისი) და გავიდნენ ნახევარფინალში. ამ შეხვედრებიდან ყველაზე გამორჩეული, ინგლისში „ენტონ პარკის" სტადიონზე ლონდონის „ვესტ ჰემთან" თამაში იყო. ეს მატჩი თბილისელთა ბენეფისად გადაიქცა. მთელი გუნდი საუცხოოდ გაისარჯა და ქართველ ფეხბურთელთა შთამბეჭდავი თამაში, ასევე ჩვენთვის სასურველი შთამბეჭდავი ანგარიშით 4-1 დასრულდა. ფინალში გასვლელი გუნდი „დინამოსა" და როტერდამის „ფეიენოორდის" ურთიერთშეხვედრებში უნდა გარკვეულიყო. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, რომელსაც მაშინ ვ.ი. ლენინის სახელი ერქვა, თბილისელებმა ჰოლანდიური ფეხბურთის ერთ-ერთ მოწინავე კლუბს შანსი არ დაუტოვეს და სამი უპასუხო ბურთი გაუტანეს. ჰოლანდიაში გამართული განმეორებითი შეხვედრა კი შეიძლება ასე დავახასიათოთ: „ცუდი მსაჯობის კლასიკური მაგალითი", ცხადია, ჩვენს საწინააღმდეგოდ. მიუხედავად ამ დაბრკოლებისა, ქართველმა ფეხბურთელებმა ვაჟკაცურად იბრძოლეს. მართალია 0-2-ზე დამარცხდნენ, მაგრამ ეს არის შემთხვევა, როდესაც დამარცხება, გამარჯვების ტოლფასი იყო და მომავალი წარმატების რწმენას იძლეოდა. „დინამო" ფინალში გავიდა... სანუკვარი მიზნის მისაღწევად ერთი თამაშის მოგებაღა იყო საჭირო.

მაშ ასე, 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფის „რეინშტადიონზე" ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ მაშინდელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ იენის გუნდი „კარლ ცაისი" და თბილისის „დინამო". საკმაოდ დიდი ალბათობა არსებობდა იმისა, რომ „დინამო" თავის ძველ ნაცნობს, ლისაბონის „ბენფიკას" შეხვდებოდა ტურნირის გადამწყვეტ მატჩში. მაგრამ „კარლ ცაისი" ძნელად გასატეხი კლუბი გამოდგა და უძლიერეს პორტუგალიურ „გრანდს" ნახევარფინალში სძლია, მანამდე კი „რომა", „ვალენსია" და უელსის კლუბი „ნიუპორტი" გამოთიშა ტურნირიდან. „კარლ ცაისის" თავდადებაზე და ბრძოლისუნარიანობაზე თვალნათლივ მეტყველებს ის ფაქტი, რომ იენურმა კლუბმა საკუთარ მოედანზე იტალიის „რომას" 4-0 მოუგო. არადა, პირველ მატჩში რომის „ოლიმპიურ" სტადიონზე სამი უპასუხო ბურთი ჰქონდა გაშვებული.

დიუსელდორფში გამართული ფინალი ფეხბურთის ყველა ნამდვილ ქართველ ქომაგს ნანახი აქვს, ამიტომ ამ თამაშში განვითარებული პერიპეტიების დაწვრილებით თხრობა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. შევახსენებთ მხოლოდ, რომ მატჩის 63-ე წუთზე გერმანელმა ჰოპემ თავისი გუნდი დააწინაურა, ხოლო სულ რაღაც ოთხ წუთში გუცაევმა სტატუს-კვო აღადგინა. საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე კი **ვიტალი დარასელიამ** მოწინააღმდეგის მცველებს თავბრუ დაახვია და ულამაზესი გოლი გაიტანა მეტოქის კარში. თბილისის „დინამო" თასების მფლობელთა თასის ტრიუმფატორი გახდა. უეფას პრეზიდენტმა **არტემიო ფრანკიმ** იქვე, მინდორზე გადასცა „დინამოს" კაპიტანს ალექსანდრე ჩივაძეს სანუკვარი თასი და თბილისში, მთელ საქართველოში დაიწყო ენით აუწერელი ზეიმი.

მომდევნო სეზონში დინამოელებს თასის შენარჩუნების შესანიშნავი შანსი ჰქონდათ, მაგრამ მიზნის მისაღწევად სულ ცოტა დააკლდათ. თბილისელები ნახევარფინალში გამოეთიშნენ ტურნირს, ჩვენს ფეხბურთელებს კვლავ რომ ეპირველათ, „დინამო" ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ისტორიაში გახდებოდა ერთადერთი კლუბი, ვისაც ეს ტურნირი ზედიზედ ორჯერ ექნებოდა მოგებული.

იქიდან მოყოლებული დღემდე, ქართულ ფეხბურთს საერთაშორისო ასპარეზზე აღარ გაუბრწყინია, თუმცა, აქა-იქ იყო ცალკეული, თითზე ჩამოსათვლელი გამორჩეული წარმატებები. ნამდვილად აღნიშვნის ღირსია საკვალიფიკაციო, შესარჩევ ეტაპზე, საქართველოს ეროვნული ნაკრების გამარჯვებები უელსის ნაკრებთან 5-0, ბულგარეთთან 2-1, პოლონეთთან 3-0, უნგრეთთან 4-1, იმავე უელსთან გასვლაზე 1-0, სამი წაგების და ერთი ფრედ დამთავრებული შეხვედრის მიუხედავად, იტალიის ნაკრებთან — ღირსეული თამაში. მაგრამ დარასელიასნაირი მნიშვნელობის გოლი ქართველ ფეხბურთელს აღარ გაუტანია ქართულ გუნდს ფურორი აღარ მოუხდენია საერთაშორისო ასპარეზზე. დარასელიასდარი გოლი გასატანია. ქართველი ქომაგი ელოდება საქართველოს გაბრწყინებას საფეხბურთო სამყაროში და ეს როგორც მინიმუმ საქართველოს ნაკრების მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრით, ან კიდევ ქართული კლუბის ჩემპიონთა ლიგის დასკვნით ეტაპზე გასვლით უნდა გამოიხატოს.

ტატო კინწურაშვილი.

ახლახან ქართულმა სპორტულმა პრესამ საზოგადოებას ამცნო იმ კიდევ ერთ უმსგავსობაზე, რაც „გაგრა" — „ცხინვალის" ერთმატჩიანმა პაექრობამ გამოიწვია — ერთნი მატჩის გადათამაშებას ითხოვენ, მეორენი — დარჩენილი 10 წუთის ჩატარებას, სხვები — უმაყურებლოდ თამაშს, კიდევ სხვები — ორთავე გუნდის „მოკვეთას" ეროვნული ჩემპიონატიდან — და მათ მაგივრად აგარის „მეშაქრის" აღზევებას უმაღლეს ეშელონში და ვინ მოსთვლის რას არა...

კარგი იქნება თუ ფეხბურთის ფედერაცია გაითვალისწინებს ამ გაკვეთილს და მომავალში ანალოგიურ შემთხვევაში მოაწყობს ოთხთა ტურნირს ერთ წრედ ნეიტრალურ სტადიონზე და არამც და არამც თბილისში. წესით და რიგით, ორთავე მატჩი ბოლნისში უნდა გამართულიყო ერთსა და იმავე დღეს. ყოველივე ჩემს მიერ აღნიშნული დიდად წაადგება ქართულ ფეხბურთს — მის პოპულარიზაციას რეგიონებში... დავუშვათ, რომ უარეს შემთხვევაში „მოკვეთეს" ორთავე გუნდი — ამით პირველ რიგში ირღვევა სპორტული პრინციპი... ასპარეზობის მთავარი მიზანი. ჩემი აზრით და ღრმა რწმენით მოცემულ შემთხვევაში, ამ გუნდების პაექრობა დასავლეთ საქართველოს რომელიმე ქალაქში უნდა გაიმართოს...

იმ შემთხვევაში თუ ფეხბურთის ფედერაცია უარს იტყვის ოთხთა ტურნირის ჩატარებაზე, რაც გარკვეულ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, ის მაინც შეძლონ (ყოველგვარი შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად) მეტოქეებმა ორი მატჩი ითამაშონ, რა თქმა უნდა, ნეიტრალურ მინდორზე.

ამას გარდა, ეროვნული ჩემპიონატი რომ სრულყოფილი გავხადოთ, აუცილებლად უნდა გაიმართოს სუპერმატჩი ქვეყნის ჩემპიონსა და თასის მფლობელს შორის და იგი ჩატარდეს 26 მაისს — შესაძლოა ოპონენტები შემომედავონ, რომ ამ დროისთვის ქვეყნის ჩემპიონისა და თასის მფლობელის რიგი მოთამაშეები ეროვნულ ნაკრებში იქნებიან მიწვეული, მაგრამ არა უშავს, მათ გარეშეც შეიძლება მატჩის გამართვა, რაც დიდი სახალხო ზეიმის დამაგვირგვინებელი აკორდი იქნებოდა

დემურ ტორაძე, ხონი.

# მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

**ჯგუფი C**

**არგენტინა**

**ტერიტორია:** 2 777 815 კვ. კმ.

**მოსახლეობა:** 38,7 მილიონი

**დედაქალაქი:** ბუენოს-აირესი

ერთობლივი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: 10 200 დოლარი.

**ფულადი ერთეული:** არგენტინული პესო (1=0,33 დოლარს)

**ენა:** ესპანური

**ფორმა:** თეთრ-ცისფერი ზოლიანი მაისურები, შავი ტრუსები. სათადარიგო: ცისფერი მაისურები და ტრუსები.

**საორიენტაციო შემადგენლობა:** აბონდანიერი — აიალა, სორინი, ჰ. ჰაინცე, ხ. ძანეტი — მასკერანო, აიმარი, რიკელმე მესი — კრესპო, ტევესი. მწვრთნელი ხოსე პეკერმანი.

არგენტინის ფეხბურთის ასოციაცია დაარსდა 1893 წელს. ფიფას წევრია 1912 წლიდან. პრეზიდენტი ხულიო გრონ დონა. კლუბების რიცხვი 3035. ფეხბურთელების რიცხვი 530 000. ნაკრების ადგილი ფიფას რეიტინგში — 4. უძლიერესი კლუბები: „ბოკა ხუნიორსი", „რივერ პლეიტი", „ველეს სარსფილდი".

**შედეგები მსოფლიო ჩემპიონატებზე:** 1930 — მეორე ადგილი. 1934 — 1/8, 1938 — 1950 — 1954 — 1958-მეოთხე ადგილი ჯგუფში. 1962 — მესამე ადგილი ჯგუფში. 1966 — 1/4. 1970 — შეს. ტურნირი. 1974 — მეოთხე ადგილი ჯგუფში. 1978 — ჩემპიონი. 1982 — მესამე ადგილი ჯგუფში. 1986 — ჩემპიონი. 1990 — მეორე ადგილი. 1994 — 1/8. 1998 — 1/4. 2002 — მესამე ადგილი ჯგუფში.

**კოტ — დ'ივუარი**

**ტერიტორია:** 322 465 კვ. კმ.

**მოსახლეობა:** 16,96 მილიონი

**დედაქალაქი:** იამუსუკრო

ერთობლივი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: 1500 დოლარი ფულადი ერთეული: აფრიკული ფრანკი (1000=1,79 დოლარს)

**ენა:** ფრანგული

**ფორმა:** ნარინჯისფერი მაისურები, თეთრი ტრუსები. სათადარიგო: თეთრი მაისურები და ტრუსები.

**საორიენტაციო შემადგენლობა:** ტიზიე — კოლო ტურე, დომორო, კუასი, მეიტე — ზოკორა, ბ. კალუ, იაპი — იაპო, დემელი — დროგბა, დინ დანი. მწვრთნელი ანრი მიშელი (საფრანგეთი).

კოტ-დ'ივუარის ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1960 წელს, ფიფას წევრია 1961 წლიდან, პრეზიდენტი ჟაკ ანუმა. კლუბების რიცხვი — 200, ფეხბურთელების რიცხვი — 96 000. ნაკრების ადგილი ფიფას რეიტინგში — 41. უძლიერესი კლუბები „ასეკ მიმოზასი", „სტელა", „აფრიკა სპორტი".

**შედეგები მსოფლიო ჩემპიონატებზე:** 1930 — 1934 — 1938 — 1950 — 1954 — 1958 — 1962 — 1966 — 1970 — 1974 — შეს. ტურნირი. 1978 — შეს. ტურნირი. 1982 — შეს. ტურნირი. 1986 — შეს. ტურნირი. 1990 — შეს. ტურნირი. 1994 — შეს. ტურნირი. 1998 — შეს. ტურნირი. 2002 — შეს. ტურნირი.

**სერბეთი და ჩერნოგორია**

**ტერიტორია:** 102 350 კვ. კმ.

**მოსახლეობა:** 10,6 მილიონი.

**დედაქალაქი:** ბელგრადი.

ერთობლივი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: 2370 დოლარი. ფულადი ერთეული: დინარი (100=1,37 დოლარს).

**ენა:** სერბული.

**ფორმა:** ცისფერი მაისურები, თეთრი ტრუსები. სათადარიგო: თეთრი მაისურები და ტრუსები.

**საორიენტაციო შემადგენლობა:** ევრიჩი — გავრანჩიჩი, კრსტაიჩი, ვიდიჩი, დრაგუტინოვიჩი — სტანკოვიჩი, დულაი, ვუკიჩი, ჯორჯევიჩი — მილოშევიჩი, კეჟმანი. მწვრთნელი ილია პეტკოვიჩი.

სერბეთისა და ჩერნოგორიის ფეხბურთის ასოციაცია დაარსდა 1919 წელს. ფიფას წევრი 1919 წლიდან. კლუბების რაოდენობა: 1821. ფეხბურთელების რაოდენობა 473 470. ნაკრების ადგილი ფიფას რეიტინგში — 47. უძლიერესი კლუბები „პარტიზანი", „ცრვენა ზვეზდა".

**შედეგები მსოფლიო ჩემპიონატებზე:** 1930 — 1/2. 1934 — შეს. ტურნირი. 1938 — შეს. ტურნირი. 1950 — მეორე ადგილი ჯგუფში. 1954 — 1/4. 1958 — 1/4. 1962 — მეოთხე ადგილი. 1966 — შეს. ტურნირი. 1970 — შეს. ტურნირი. 1974 — მეოთხე ადგილი ჯგუფში. 1978 — შეს. ტურნირი. 1982 — მესამე ადგილი ჯგუფში. 1986 — შეს. ტურნირი. 1990 — 1/4. 1994 — 1998 — 1/8. 2002 — შეს ტურნირი.

**ჰოლანდია**

**ტერიტორია:** 41 526 კვ. კმ.

**მოსახლეობა:** 16,1 მილიონი

**დედაქალაქი:** ამსტერდამი

ერთობლივი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: 26 900 დოლარი. ფულადი ერთეული: ევრო (1=1,18 დოლარს).

**ენა:** ჰოლანდიური

**ფორმა:** ნარინჯისფერი მაისურები, თეთრი ტრუსები. სათადარიგო: თეთრი მაისურები და ნარინჯისფერი ტრუსები.

**საორიენტაციო შემადგენლობა:** ვან დერ სარი — დე იონგა, ბულახრუზი, ოპ დამი, ვან ბრონკჰორსტი — კოკუ, ლანდზატი, სნაიდერი, ვან დერ ვარტი — რობენი, ვან ნისტელროი. მწვრთნელი მარკო ვან ბასტენი.

ჰოლანდიის სამეფო საფეხბურთო კავშირი დაარსდა 1889 წელს. ფიფას წევრი 1904 წლიდან. კლუბების რაოდენობა: 4050, ფეხბურთელების რაოდენობ: 1 260 900. ნაკრების ადგილი ფიფას რეიტინგში — 3. უძლიერესი კლუბები „აიაქსი", პსვ (ეინდჰოვენი), „ფეიენოორდი".

**შედეგები მსოფლიო ჩემპიონატებზე:** 1930 — 1938 — 1/8. 1938 — 1/8 1950 — 1954 — 1958 — შეს. ტურნირი. 1962 — შეს. ტურნირი. 1966 — შეს. ტურნირი. 1970 — შეს. ტურნირი. 1974 — მეორე ადგილი. 1978 — მეორე ადგილი. 1982 — შეს. ტურნირი. 1986 — შეს. ტურნირი. 1990 — 1/8. 1994 — 1998 — მეოთხე ადგილი. 2002 — შეს. ტურნირი.

პუბლიკაცია მოამზადა
ბივი ბამრეკელმა.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## დღეს – ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

**დღეს, პორტუგალიაში იწყება ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი ფეხბურთში. ფინალურ ეტაპზე გასული 8 გუნდი ორ ქვეჯგუფშია განაწილებული.**

**„ა“ ჯგუფი: საფრანგეთი, გერმანია, პორტუგალია, სერბეთი.**

**„ბ“ ჯგუფი: დანია, იტალია, ჰოლანდია, უკრაინა.**

**წინა ჩემპიონატი მოიგო იტალიის ნაკრებმა, რომელიც შეეცდება წარმატების გამეორებას. გთავაზობთ იტალიის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტნის მარკო დონადელის მიერ უეფას ოფიციალური საიტისათვის მიცემულ ინტერვიუს.**

◆ ***რას ნიშნავს თქვენთვის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი?***

— მეტად მნიშვნელოვანი, საჭირო ტურნირია ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელისათვის, — ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატი ქვეყნის ძირითადი ნაკრების მოთამაშისათვის. მოხარული ვარ, რომ მაქვს პატივი, დავიცვა იტალიის ნაკრების ღირსება, — ეს ნიშნავს, რომ შედიხარ ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელთა შორის.

◆ ***რა სხვაობაა იტალიის ამჟამინდელ ნაკრებსა და იმ გუნდს შორის, რომელიც ევროპის ჩემპიონი გახდა 2 წლის წინათ?***

— შემიძლია ვთქვა, რომ ახლანდელი გუნდი ტექნიკურად ძალიან კარგად არის მომზადებული, თუმცა, გამოცდილება აკლია. დარწმუნებული ვარ, რომ ორი წლის წინანდელ წარმატებას გავიმეორებთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ევროპის ბოლო შვიდ ჩემპიონატში ხუთ მათგანში სწორედ იტალიის ნაკრებმა იმარჯვა.

◆ ***ვის თვლით კონკურენტებად?***

— შესანიშნავი გუნდი ჰყავს პორტუგალიის ნაკრებს, თანაც, ეს გუნდი „საკუთარ კედლებში“ თამაშობს. — ეს დიდი უპირატესობაა. გარდა ამისა, ფავორიტები არიან სერბი ახალგაზრდებიც.

◆ ***რას იტყვით იტალიის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცზე კლაუდიო ჯენტილეზე?***

— მან მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩემს კარიერაში, — ევროპის 2004 წლის ახალგაზრდულ ჩემპიონატშიც მათამაშა და ოლიმპიურ თამაშებშიც. ეს მაშინ, როცა, თანაგუნდელებთან შედარებით, ასაკით პატარა ვიყავი, ყოველთვის ვგრძნობდი მის ნდობას და ვცდილობდი საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას მოედანზე. შესანიშნავი მწვრთნელია ჯენტილე. ის კარგად ერკვევა ფეხბურთში. უყვარს თავისი გუნდი.

## ანრი „არსენალში“ რჩება

**ლონდონის „არსენალის“ თავდამსხმელი ტიერი ანრი აპირებს ახალი კონტრაქტი გააფორმოს თავის გუნდთან. არადა, ბოლო პერიოდში წამდაუწუმ ვრცელდებოდა ინფორმაცია მისი ესპანურ „ბარსელონაში“ გადასვლასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ანრიმ გადაიფიქრა.**

**„არ შემიძლია მივატოვო ჩემი ლონდონელი გულშემატკივრები. მათ ჩემი ოჯახის წევრებად ვთვლი. მე მაინტერესებს „ბარსელონა“, მაგრამ გასულ კვირას, ჩემპიონთა ლიგის ფინალურ შეხვედრაში „არსენალმა“ თავისი გოლი წარმოაჩინა. მე მინდა, აქ დიდხანს ვითამაშო,“ – ამბობს ტიერი ანრი.**

**შეგახსენებთ, რომ ანრი „არსენალში“ 1999 წელს გადავიდა „იუვენტუსიდან“. ახლახან დასრულებულ სეზონში მან უკვე მე-200 ბურთი გაიტანა ლონდონური კლუბის შემადგენლობაში და კლუბის რეკორდიც დაამყარა. გარდა ამისა, 28 წლის ფეხბურთელი აღიარეს საუკეთესოდ. ანრი იმედოვნებს, რომ ლონდონის „არსენალში“ ახალ სეზონში, ახალ სტადიონზე ახალ წარმატებებს მიაღწევს.**



## 50 მილიონ ფუნტს იხდიდნენ

**ცნობილი გახდა, რომ ლონდონის „არსენალის“ ხელმძღვანელობას ფორვარდ ტიერი ანრის სანაცვლოდ 50 მილიონი ფუნტი შესთავაზეს. ორივე შემთხვევაში ანრის შეძენის მსურველებმა უარი მიიღეს. ამის შესახებ განაცხადა „არსენალის“ ვიცე-პრეზიდენტმა დევიდ დეინმა. აქამდე რეკორდულ სატრანსფერო თანხად ზინედინ ზიდანის შემთხვევაში არის დაფიქსირებული – ეს უკანასკნელი შეიძინა 47 მილიონ ფუნტად.**

**„წინადადებები ესპანური კლუბებისაგან მოდიოდა, ჩვენი პასუხი ერთი იყო – ანრი არ იყიდება“, – თქვა დეინმა.**

## გაოგნებული მარადონა

მეოცე საუკუნის ფეხბურთის ვარსკვლავი, არგენტინელი დიეგო მარადონა გაოგნებულია იმის გამო, რომ თავისი ქვეყნის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ხოსე პეკერმანმა მსოფლიო ჩემპიონატისათვის გამოცხადებულ შემადგენლობაში არ შეიყვანა გოლკიპერი ჰერმან ლუქსი.

„ამის დაჯერებაც არ მსურს. საწყენია, რომ ასეთი მეკარე მსოფლიო ჩემპიონატზე არ მიდის. მართალია, მწვრთნელი წყვეტს, ვინ შეიყვანოს გუნდის შემადგენლობაში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მას გაუჭირდება ლუქსის გარეშე,“ — ამბობს მარადონა.

## გუუს ჰიდინკი: «ჩვენ ბრაზილიელების არ გვეშინია»

ავსტრალიის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს გუუს ჰიდინკს ბრაზილიელების არ ეშინია და სჯერა, რომ მისი შეგირდები შეძლებენ მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის დაძლევას. ეს განცხადება გააკეთა ჰიდინკმა მელბურნში გამართულ პრესკონფერენციაზე ევროპაში გამომგზავრების წინ.

„ავსტრალიის ნაკრები კერკეტი კაკალია, რომლის გატეხვა ცოტა ვინმეს თუ შეუძლია“, — თქვა ავსტრალიელთა თავკაცმა.

აქამდე ჰოლანდიელმა სპეციალისტმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ნახევარფინალამდე გაიყვანა თავისი ქვეყნისა და სამხრეთ კორეის გუნდები. ამჯერად ჰიდინკი არ გვპირდება მსგავს შედეგს.

„ჩვენ გამოცდილება გვაკლია. ავსტრალიას ხომ 32 წელია არ უთამაშია მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე... ჩვენს ჯგუფში ფავორიტი, რალა თქმა უნდა, ბრაზილიის ნაკრებია. ყველა ელის კარლოს ალბერტო პარეირას გუნდისაგან სამი გამარჯვების მოპოვებას ჯგუფურ ეტაპზე, მაგრამ ვფიქრობ, ამას ადვილად ვერ მიაღწევენ. ჩვენ მათი არ გვეშინია. პირველი თამაში იაპონიის გუნდთან გვაქვს. თუ მათ დავამარცხებთ, უკვე შეიძლება საუბარი ჯგუფიდან გასვლაზე“.

ჰიდინკს თავისი ნაკრების ორი მოთამაშის ჯანმრთელობა აღელვებს — ჰარი კიუელისა და ტიმ კეჰილის. „ლივერპულში“ მოთამაშე კიუელი მთელი სეზონის განმავლობაში ღებულობდა მიკროტრავმებს, „ვესტ ჰემთან“ სათასო თამაშის დროს კი მძიმედ დაშავდა. ის ავსტრალიის ნაკრების მოსამზადებელ ეტაპს გამოეთიშება. თუმცა, ჰიდინკი იმედოვნებს, რომ ფეხბურთელი მაინც დაეხმარება ნაკრებს ჩემპიონატის მატჩებში.

რაც შეეხება კეჰილს. ის მალე მოიშუშებს მუხლის ტრავმას. ჰიდინკი ფიქრობს, რომ ეს მოთამაშე ერთ კვირაში შეუერთდება გუნდს. ავსტრალიის ნაკრების კაპიტანი მარკ ვიდუკა იქნება. „ვიდუკა ნამდვილი ლიდერია, ნამდვილი კაპიტანი. მოხარული ვარ, რომ ის მწყობრში ხვდება მსოფლიო ჩემპიონატს“ — ამბობს გუუს ჰიდინკი.

## რონალდო გერდ მიულერის რეკორდის დამხობას აპირებს



მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, მადრიდის „რეალის“ ფორვარდი რონალდო აცხადებს, რომ გაიმეორებს 4 წლის წინანდელ წარმატებას გერმანიაშიც. გარდა ამისა, ბრაზილიელი აპირებს გაიტანოს იმდენი ბურთი, რომ დაამხოს ლეგენდარული გერდ მიულერის რეკორდი. მიულერს 14 ბურთი აქვს გატანილი, ხოლო რონალდომ 2002 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 12-ჯერ აილო მეტოქეთა კარი.

„ვიმედოვნებ, რომ მიზანს მივაღწიე და ბრაზილიის ნაკრებიც მსოფლიო ჩემპიონი გახდება,“ — ამბობს რონალდო.

## „ბარსელონა“ ფორლანს ყიდულობს

მას შემდეგ, რაც ანრის შეძენის ვარიანტი გამოირიცხა, „ბარსელონას“ ხელმძღვანელობამ თვალი დაადგა „ვილიარეალის“ თავდამსხმელს დიეგო ფორლანს. ამ ურუგვაელ მოთამაშეს თავის კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს დადებული. არ არის გამორიცხული ფორლანში კატალონიელებმა 15 მილიონი ევრო გადაიხადონ.

## ბრიგელი ბაჰრეინის ნაკრებს გაწვრთნის

გერმანელი სპეციალისტი ჰანს-პეტერ ბრიგელი ამიერიდან ბაჰრეინის ფეხბურთელთა ნაკრებს უხელმძღვანელებს. კონტრაქტი, რომელიც 2 წლით განისაზღვრა, ძალაში ივლისიდან შევა. ბოლოს ბრიგელი ალბანეთის ნაკრებთან მუშაობდა.

## ბექჰემი შოუს აწყობს

ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექჰემი ჰარდფორდშირში, საკუთარ სასახლეში თანაგუნდელებისათვის აწყობს გრანდიოზულ საღამოს მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე. შოუში მონაწილეობას მიიღებენ არა მხოლოდ ინგლისის ნაკრების მოთამაშეები, არამედ მომღერლები და გამოჩენილი ადამიანები. სულ დევიდ ბექჰემი და მისი მეუღლე — ვიქტორია 500 სტუმარს ელოდებიან.

საღამო გრანდიოზული იქნება — შოუს ჰაერში მქროლავი სამი თვითმფრინავი გახსნის. საღამოს მთავარი მოვლენა იქნება სახელგანთქმული მუსიკოსის მერლინ მენსონის მეუღლის — 33 წლის დიტი ფონ ტიზის გამოსვლა, რომელიც საზოგადოებას ყოველთვის აოცებს ექსტრავაგანტური, ჩაცმულობით და სტრიპტიზიორობით. საღამოზე ასევე წარსდგებიან ჯეიმს ბრაუნი და რობი უილიამსი. ბრიტანელი ტელეწამყვანი გრემ ნორტონი კი ჩაატარებს საქველმოქმედო აუქციონს, რომლის შემოსავალი გადაეცემა იუნესკოს ბავშვთა ფონდს.

## ვან ნისტელროი «ჩელსიში»?

არ არის გამორიცხული, ჰოლანდიელმა ფორვარდმა რუუდ ვან ნისტელრომ მომავალი სეზონიდან ლონდონის „ჩელსის“ ღირსება დაიცვას. ინგლისური პრესის ცნობით, „ჩელსის“ აღმასრულებელი დირექტორი პეტერ კენიონი პარიზში შეხვედრია ფეხბურთელს და მოლაპარაკებაც გაუმართავს მომავალ კონტრაქტთან დაკავშირებით.

## ლემპარდს მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში სწყურია

ლონდონის „ჩელსის“ მოთამაშემ ფრენ ლემპარდმა სააგენტოს „როიტერისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „ძალიან გულდაწყვეტილი ვიყავი 2002 წელს, როცა მსოფლიო ჩემპიონატზე მიმავალი ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ვერ მოვხვდი. არ მინდა, ასეთივე გრძნობა ახლაც განვიცადო. მე ბევრი ვიმუშავე, რათა ნაკრებში დავბრუნებულიყავი“.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ „ჩელსის“ ხელმძღვანელობამ ლემპარდს შესთავაზა ახალი კონტრაქტი, რომლის პირობების მიხედვით, ფეხბურთელი ყოველკვირეულად 140 ათას ფუნტს მიიღებს. ეს თვით მიხაელ ბალაკის შემოსავალზე მეტია.

## შევჩენკოს ბედი ხვალ გაირკვევა

იტალიის სერია „ა“-ს კლუბ „მილანის“ უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო ხვალ გადაწყვეტს, გუნდში დარჩება თუ ინგლისში გადაბარგდება.

„გაძეტა დელო სპორტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში შევჩენკომ განაცხადა: „მე არასოდეს მითქვამს, რომ მხოლოდ „ჩელსიში“ გადასვლაზე ვფიქრობ... ამაზე ვფიქრობდი მხოლოდ ოჯახური მიზეზების გამო. „მილანში“ კარგი პირობები მაქვს. არც ფულია ჩემთვის მთავარი. ერთადერთი პრობლემა ენობრივი ბარიერია“.

შეგახსენებთ, რომ შევჩენკოს „მილანის“ ხელმძღვანელობამ შესთავაზა კონტრაქტის გაგრძელება 2011 წლამდე. ახალი პირობების მიხედვით, უკრაინელი ფორვარდი ყოველწლიურად მიიღებს ფანტასტიკურ თანხას — 6 მილიონ ევროს. ეს 800 ათასი ევროთი მეტია შევჩენკოს ახლანდელ შემოსავალზე. აქვე გეტყვით, რომ მოქმედ კონტრაქტს ვადა 2009 წლის 30 ივნისს გასდის. რაც შეეხება ლონდონის „ჩელსის“, ამ კლუბის ხელმძღვანელობა მზადაა, შევჩენკოში გადაიხადოს 47 მილიონი ფუნტი სტერლინგი.



# ნბა

## „დეტროიტი“ ნახევარფინალში გავიდა

ნბა-ს ფლეი-ოფის მეოთხედფინალური სერიის გადამწყვეტ მეხუთე შეხვედრაში „დეტროიტმა“ შეძლო „კლივლენდის“ დამარცხება — 79:61 და ნახევარფინალში გავიდა. „კლივლენდს“ ვერ უშველა ლებრონ ჯეიმსმა, რომელმაც 27 ქულა მოაგროვა და 8-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან. გამარჯვებული გუნდის რიგებში კი ყველაზე შედეგიანი პრინსი იყო — 20 ქულა.

## 95 წლისა მაგიდის ჩოგბურთს თამაშობს

ბრიტანელი, 95 წლის ქალბატონი **დოროტი დე ლოუ**, ბოლო დღეებში პოპულარული გახდა. მისი ფოტოები ინგლისურ და გერმანულ გაზეთებში დაიბეჭდა. მიზეზი? თურმა დოროტი ბებიამ ბრემენში იასპარეზა მაგიდის ჩოგბურთში გამართულ ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატზე. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ დოროტი დე ლოუ ... 95 წლისაა.

დოროტის ახალგაზრდობაში მაგიდის ჩოგბურთი არასოდეს უთამაშია. სპორტის ამ სახეობით ის დაინტერესდა პენსიაზე გასვლის შემდეგ — 40 წლის წინათ. იქიდან მოყოლებული დე ლოუმ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი მოიგო, მათ შორის, 1992 წელს დუბლინში უკვე 80 წელს მიტანებულმა — მსოფლიო ჩემპიონატი. ასეთი „სასწაულის“ საიდუმლო არის ის, რომ ლოუ ვარჯიშობს მაგიდის ჩოგბურთში ავსტრალიის ჩემპიონ პოლ პინკევიჩთან. ბებია მასწავლებელს გაკვეთილების სანაცვლოდ გარკვეულ თანხასაც უხდის.

## 110 სასტუმრო ოლიმპიადისათვის

ცნობილია, რომ 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს მასპინძლობს პეკინი. ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ იმ დროისათვის ქალაქში 110 ახალი სასტუმრო იქნება.

„ჩვენ 110 ხუთვარსკვლავიან სასტუმროს ავაშენებთ, რომლებშიც განთავსდებიან ოლიმპიადის სტუმრები“, — ნათქვამია ორგანიზატორთა მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## შუმახერი ალონსოს შეცდომის მოლოდინშია

„ფორმულა 1“-ში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა განაცხადა, რომ წლევანდელი სეზონის ლიდერისაგან, „რენოს“ პილოტი ფერნანდო ალონსოსაგან შეცდომის დაშვებას ელის. გერმანელი პილოტის აზრით, ასეთი რამ ალონსოს შესაძლოა უახლოეს ეტაპზე, მონაკოს გრან პრის გათამაშებაზე მოუვიდეს.

საინტერესოა, რომ შუმახერმა 5-ჯერ მოიგო მონაკოს გრან პრი, ხოლო ალონსოს ჯერ არ მოუგია ეს ეტაპი.

„მონაკოში ძალიან რთული ტრასაა. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ადრე თუ გვიან, ალონსო მაინც შეეცდება,“ — ამბობს შუმახერი.

წლევანდელ სეზონში ალონსოს ერთადერთ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს საბურავების შერჩევა ევროპის გრან პრის გათამაშებისათვის, როცა „რენოს“ პილოტი ფინიშთან მეორე მივიდა, მიხაელს ოთხი წამით ჩამორჩა.

ასეა თუ ისე, ალონსოსა და შუმახერის მეტოქეობა წლევანდელი სეზონის მთავარი ინტრიგაა.

ამ მომენტისათვის „ფერარის“ პილოტი 15 ქულით ჩამორჩება ალონსოს, თუმცა, მიხაელ შუმახერი დარწმუნებულია, რომ ეს სხვაობა უახლოეს ეტაპზე კიდევ უფრო შემცირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტოპალოვი უძლიერესია

ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონმა ვესელინ ტოპალოვმა სოკ-ის სუპერტურნირი მოიგო. ბულგარელმა დიდოსტატმა 6,5 ქულა მოაგროვა და ნახევარი ქულით გაუსწრო ამერიკელ გატა კამსკის. 5,5 ქულით მესამე ადგილზე გავიდა ინდოელი ვიშვანათან ანანდი.

## შვედები ჩემპიონები არიან

შვედეთის ჰოკეისტთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. ფინალში შვედმა ჰოკეისტებმა ჩეხეთის ნაკრები დაამარცხეს 4:0. შაიბები გაიტანეს მატსონმა, ემვალმა, კრუნვალმა და იენსონმა.

ჩემპიონატის შედეგების მიხედვით ჟურნალისტებმა დაასახელეს ლაურეატები სხვადასხვა პოზიციაზე. საუკეთესო მეკარედ ბელარუსი ანდრეი მეზინი აღიარეს, მცველებად — პეტერ ნუმელინი (ფინეთი) და კრუნვალი (შვედეთი), თავდამსხმელად — კროსბი (კანადა), დავიდ ვიბორნი (ჩეხეთი) და ალექსანდრ ოვეჩკინი (რუსეთი), საუკეთესო ბომბარდირი კანადელი ჰოკეისტი სიდნი კროსბი გახდა.

## ბარერას სისხლიანი გამარჯვება

ლოს-ანჯელესში, პროფესიონალმა მოკრივემ მარკო ანტონიო ბარერამ წარმატებით დაიცვა ვბც-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული პირველ მსუბუქ წონაში — მან მხოლოდ ერთი ქულით აჯობა რიკარდო ხუარესს.

საინტერესოა, რომ კარგა ხნის განმავლობაში ბარერამ შესაფერისი მეტოქე ვერ გამოძებნა. ჯერ ვარაუდობდნენ, რომ მას უნდა ებრძოლა ხესუს ჩავესთან, მაგრამ ამ უკანასკნელმა ერთ-ერთ ვარჯიშზე მხარი დაიზიანა. შემდეგ ვბც-ს ხელმძღვანელობამ არჩევანი შეაჩერა ხუან დიასზე, მაგრამ პირობებზე ვერ შეუთანხმდნენ. ამ მოკრივეს, საბოლოოდ ბარერა 2000 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი რიკარდო ხუარესი შეახვედრეს.

თავიდან ისე ჩანდა, რომ ბარერას პრობლემები არ უნდა ჰქონოდა, — ის პირველი ორი რაუნდის განმავლობაში უპირატესობას ფლობდა, მის მეტოქეს კი ერთ მომენტში მარცხენა თვალის მიდამოებში სისხლიც წასკდა.

მოულოდნელად განვითარდა მოვლენები მესამე რაუნდში — ხუარესმა ჩემპიონს ცხვირი გაუტეხა, ბარერა გონგის ხმამ გადაარჩინა... ამის შემდეგ ის მხოლოდ პირით სუნთქავდა.

ბრძოლა დაძაბულად გაგრძელდა 12 რაუნდამდე. საბოლოოდ რეფერმა ქულები დაითვალა და აღმოჩნდა, რომ ბარერასთვის მეტოქესთან შედარებით ერთი ქულით მეტი მიენიჭებინათ.

მომდევნო ბრძოლას ჩემპიონი ჩაატარებს 11 ნოემბერს, ლას-ვეგასში. მეტოქე ჯერჯერობით უცნობია.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



**23 მაისი, სამშაბათი**

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი 2. „მსოფლიო ფეხბურთის ისტორია“ (0.00), НТВ плюс спорт. „ჰარმონიის ფორმულა“ (10.25), „რკინის ფაქტორი“ (10.40), „ექი“ (11.10), აფროსნობა (16.30), ბეისბოლი (17.30), საკალათბურთო მიმოხილვა (18.00) კალათბურთი. ნბა-ს ფლეი-ოფი (18.45), „სპორტული სოლო“ (22.00), ჩოგბურთი. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი (23.00), მძლეოსნობა. ბრაზილიის გრან პრი (1.00), ჰოკეი. სტენლის თასის გათამაშება (3.00). EUROSPORT. ფეხბურთი. ევროგოლები (10.30), ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში (11.30), მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები (13.00), მსოფლიო ჩემპიონატის წინ (14.00), ველოსპორტი (16.00), ფეხბურთის ლეგენდები (20.00), ავტოსპორტი (21.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (22.00), კრივი (23.00), ფეხბურთი, ამხანაგური მატჩი. ავსტრია — ხორვატია. „პლანეტა სპორტი“. სპორტული ცეკვები (11.05), ცხენოსნობა (14.00), სროლა. ევროპის ჩემპიონატი (16.50).

**24 მაისი, ოთხშაბათი**

НТВ плюс спорт. „ჰარმონიის ფორმულა“ (10.25), ჰოკეი. სტენლის თასი (10.45), „სპორტული სოლო“ (13.30), ბეისბოლი (15.30), ფიგურული ციგურაობა. კრისტი იამაგუჩის შოუ (16.20), ბილიარდი. აშშ-ის ღია პირველობა (17.35), ნჰლ-ის გუნდები. „ჩიკაგო“ (21.30), ჩოგბურთი. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი (22.45), სათხილამურო სპორტი. ბიათლონი (0.35), ბეისბოლი (3.00), EUROSPORT. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის წინ (11.00), ევროგოლები (11.30), ლეგენდები (13.00), ამხანაგური მატჩი — ავსტრია — ხორვატია (5.00), ველოსპორტი (16.00), ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში (20.00), აფროსნობა (0.15), ცხენოსნობა. გერმანიის სუპერლიგა (030), გოლფი (1.30), ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ნორვეგია — პარაგვაი (2.00), „პლანეტა-სპორტი“. სროლა. ევროპის ჩემპიონატი (16.50), პროგრამა „გოლი“ (21.05), „ყველაზე ძლიერი ადამიანი“ (2.15).

**25 მაისი, ხუთშაბათი**

НТВ плюс спорт. „ჰარმონიის ფორმულა“ (10.25), ბეისბოლი (10.45), ნჰლ-ის გუნდები: „ჩიკაგო“ (13.30), ბილიარდი (14.45), სათხილამურო სპორტი (17.00), ჩოგბურთი. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი (22.45), ფიგურული ციგურაობა (0.35), ჰოკეი. სტენლის თასი (3.00), ბილიარდი (6.30), EUROSPORT. ცხენოსნობა (11.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.00), ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის წინ (13.00), ამხანაგური მატჩი. ავსტრალია — საბერძნეთი (14.00), ნორვეგია — პარაგვაი (16.00), ველოსპორტი (17.00), ჩოგბურთი, საჩვენებელი გამოსვლები (19.30), კრივი (23.00), ფეხბურთი (1.00). „პლანეტა - სპორტი“. სროლა. ევროპის ჩემპიონატი (16.50), „ყველაზე ძლიერი ადამიანი“ (17.55), მძლეოსნობა (18.55), ხელბურთი (23.30).

## კროსვორდი

**თარაზულად:** 9. ცნობილი ვეტერანი საბჭოთა (რუსი) ფეხბურთელი, 11. ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე ქვეყანა G ჯგუფიდან, 12. ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელი — მცველი, 13. კორეის ნაკრების ფეხბურთელი — მეკარე, 14. სოფელი ლაგოდეხის რაიონში, რომელსაც ჰყავდა საფეხბურთო გუნდი, 17. ფეხბურთში 2006 წ. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ტრინიდადის მეკარე, 20. ესპანეთის საფეხბ. კლუბი, 22. ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი, 1982 წ. მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, 23. ზღვის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, 24. რუსი მხედარი, ცხენის გაწვრთნაში ოლიმპიური (1972) ჩემპიონი, 25. საფრანგეთის საფეხბ. ნაკრების მწვრთნელი 1998 წ. მს. ჩემპიონატზე, 26. იაპონიის ნაკრების ფეხბურთელი, იოში...

**შვეულად:** 1. გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი, მიხაელ... 2. საფრანგეთის საფეხბ. ნაკრების თავდამსხმელი, 3. შეჯიბრებისნაირსახეობა ველო, მოტო სპორტში, ნიჩბოსნობაში და ა.შ. 4. ნაციონალური საკალათ. ასოციაცია, 5. კორეის ნაკრების ფეხბურთელი, ვონ — ჰი... 6. კორეის ნაკრების ფეხბურთელი, თავდამსხმელი, ჩან-სუ... 7. სოფელი გორის რაიონში, 8. აშშ-ის ნაკრების ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 10. „რეალის“ აღმასრულებელი დირექტორი, არგენტინელი ფეხბურთის ვეტერანი, 15. რუსთავის საფეხბ. კლუბის ადრინდელი სახელი, 16. ფეხბურთის მეფე, 18. „მილანის“ საკ. კლუბის მცველი, 19. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი ფეხბურთელი, დუაიტ... 20. პოლონეთის საფეხბ. კლუბი, 21. ცნობილი იაპონელი ტანმოვარჯიშე, ოლ. ჩემპიონი (1964), 23. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი.



მოამზადა ნოდარ ჯაჭვაძემ

### საჭადრაკო ეტიუდი

ა. ბონდარენკო

(1947 წ.)



თეთრები იგებენ

№37-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ეa4+

1. ..... მფe5 2. ეa5 ლ:a5 3. ეc6

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ტანდემი, 7. ბატისტუტა, 10. სამარანჩი, 11. ბოტა, 12. ადამსი, 14, ჰრებალო, 16. ორი, 18. კაპა, 19. ბუდიონი, 23. მარულა, 25. ბერიაშვილი, 28. უუდმიაე, 29. ლიპი, 30. ძოლა, 31. ოსი.

**შვეულად:** 2. „ალგა“, 3. „მერანი“, 4. „ლაციო“, 5. მიდი, 6. ნაგანო, 8. ურო, 9. „პარმა“, 11. ბუბკა, 13. დარასელია, 14. ჰოკი, 15. ლეი, 17. ედეშკო, 19. ბრიჯი, 20. ნხლ, 21. პუტინი, 22. ტალები, 24. ანდრო, 26. იუკო, 27. „იუტა“.

## თარიღები

### დაიბადნენ

### 23 მაისი

**ნინო დუმბაძე** (1919 — 1987) — მძლეოსანი, ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (1952) ბირთვის კვრაში, მსოფლიო რეკორდსმენი, ევროპის ჩემპიონი.

**ჯონ ნიუკომბი** (1944) — ავსტრალიელი ჩოგბურთელი, უიმბლდონის ტურნირის სამგზის გამარჯვებული.

**ანატოლი კარპოვი** (1951) — მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭადრაკში.

**რუბენს ბარიკელო** (1972) — „ფორმულა-1“-ის პილოტი.

### 24 მაისი

**სიუზან ლენგლენი** (1899) — ფრანგი ჩოგბურთელი, უიმბლდონის ტურნირის 6-გზის გამარჯვებული.

**გიორგი თენაძე** — ძიუდოში ოლიმპიური თამაშების (1988) მესამე პრიზიორი, მსოფლიოს და ევროპის პრიზიორი, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი.

**რონალდ ნეხემია** (1959) — ამერიკელი მორბენალი, რომელმაც 110 მეტრზე თარჯრბენში პირველმა გადალახა 13-წამიანი ზღვარი.

**ერიკ კანტონა** (1966) — ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი მოთამაშე.

**იან ლი ნი** (1972) — ჩინელი მსროლელი, 2000 წლის ოლიმპიური ჩემპიონი.

### 25 მაისი

**ლუდმილა ბულდაკოვა** (1938) — საბჭოთა ფრენბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი.

**ვლადიმირ ინოზემცევი** (1964) — რუსი მძლეოსანი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის რეკორდსმენი სამხტომში.

**ზოლა ბადი** (1966) — სამხრეთაფრიკელი მორბენალი, რომელმაც ინგლისის მოქალაქეობა მიიღო, რათა გამგზავრებულიყო ოლიმპიადაზე. მსოფლიოს არაღიარებული რეკორდსმენი (მის რეკორდებს სათვალავში არ თვლიდნენ სამხრეთ აფრიკაში მძლეოსანთა მიმართ გამოცხადებული ბოიკოტის გამო).

**ვლადიმირ ტატარჩუკი** (1966) — საბჭოთა ფეხბურთელი. 1988 წლის ოლიმპიური ჩემპიონი.

**რუტი ბოლტონ - ჰოლიფილდი** (1967) — ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, ოლიმპიური ჩემპიონი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com